



გაზეთი გაეოღის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამტრედიის

N33 (9177)

30 ნოემბერი. 2015 წელი

ფასი 50 თეთრი

ვალდებულებები ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმით

უნდა გჭონდეს ხელხის წახეროით კოაპერაციის ყოველი!



2

ყოველ წუთში ველოდებით პრობლემას,
3 მადრამ მზადყოფნაც გვაქვს
გამოცხადებული

სამსჯელი "ნაციონალებს"
ვეჩივე მომხატვრავ პატიას
ნუ ჩაჰყვებიან სამახეში **5**

რატომ იქცა რეპეტიტორობა მოდად?



4

ავთანდილ სტურუა:
"მივესაღებები პანტასნაირი აღაშიანების
ქართულ პოლიტიკაში მოსვლას"



2

წყინალალები

სერიკის წესებს ვერ მოხთხოვ

გადასადალი
ფარგუნიტ? **4**



კამაჩუქებასაც მიჩუქა უნდა

6



მარხვა სულის ზეიმიან



წყალნალეზულები

სტიქიის პასუხს ვერ მოხიზოვ

თბა ბაგუნაშვილი

ზამთარმა რამდენიმე დღის წინ ჯერ ისევ ნაადრევად სიცივითა და თაყსნა წვიმით მოაკვანა. როგორც მოსალოდნელი იყო, უხვმა ნალექმა სტიქიური ზარალის საფრთხე შექმნა. უკვე არაერთი წელია, სამტრედია სტიქიით დაზარალებულთა რიგებში ხვდება. ბუნების წინაშე უძლურნი ვართ, მაგრამ ეს იმ შემთხვევაზე მორგებული გამონათქვამი უფროა, როცა მისი გამოქვეყნება მიზეზები ხელოვნურად არ იქმნება და ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით ყველაფრის გამართულობის შემთხვევაშიც, ზარალს ბუნება მაინც არ აგვაცდენს. უკვე დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების მიუხედავად, რომელთა ხარჯთაღრიცხვაც რამდენიმე ათას ლარს შეადგენს და დიდი დრო სულაც არ არის, რაც ისინი დასრულდა, არაერთი ობიექტს კვლავ ისეთივე პრობლემები შეექმნა, რამაც თავის დროზე აღდგენითი სამუშაოები გახდა აუცილებელი. ერთი სიტყვით, ორ-სამ დღიანმა უხვმა ნალექმა, სამტრედიას ცოტა ხნის წინ მოგვარებული პრობლემები კვლავ მოსაგვარებელი გაუხდა.

სოფელ ვახისუბანში ადიდებულმა “ხევისწყალამ” დაახლოებით 130 მეტრზე სანაპირო ზოლი წაიღო. საფრთხე შეუქმნა საცხოვრებელ სახლებსა და საკარმოდო ნაკვეთებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროებას წარმოადგენს ამ მონაკვეთზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ორ იარაღსანი გაბინების მოწყობა. სამუშაოთა საორიენტაციო ღირებულება 80 ათასი ლარია. იგივე “ხევისწყალამ” ზემო ნიღაში ძირი გამოუთხარა საავტომობილო ხიდის ბურჯებს. აუცილებელია ხიდის ორ ჩიხოლში ჩასმა, მოსაწყობობა ბურჯებზე რეინა-ბეტონის სარტყელი და შესაცვლელია ხიდის საგალი ნაწილი. სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება 70 ათასი ლარია. სოფელ გორმარალში კი, ნაპირი მოსწყვეტა “ხევისწყალამ” და საკარმოდო ნაკვეთებს უახლოვდება. მის შესანერებლად 50 მეტრის რეინა-ბეტონის კედელია მოსაწყობი, რომლის საორიენტაციო ღირებულება 30 ათასი ლარია. ზემო ტოლედში ადიდებულმა მდინარემ დაანგრია სანაპირო ზოლზე გაკეთებული დამაგები ნივთი. მათი აღდგენა, რაც 100 ათასი ლარის სამუშაოს გულისხმობს, აუცილებელია. გომის თემის სოფელ დაბლა ეწერში მდინარე კაპიტონამ ხიდს საფრთხეები გამოაცალა. პრობლემის გამოსასწორებლად 3 ათასი ლარია საჭირო. სოფელ მთისძირში, ე.წ. რუსიების უბანში, წყალმა მთის ქანი წამოიღო და დაახანა გაკეთებული ჯებირი-დამბა. მის აღდგენას 15 ათასი ლარი დასჭირდება. ეს მონაკვეთები გამგებლის მიერ 2015 წლის 16 ნოემბრის ბრძანებულებით შექმნილი ზარალის შემსწავლელი კომისიის ღებუქტური აქტივანა. კომისიას გამგებლის მოადგილე მამუკა თავაძე ხელმძღვანელობს და 9 წევრისგან შედგება.

გარდა ამ ობიექტებისა, ტრადიციულად დაიტბორა ქალაქის ცენტრი და რამდენიმე ქუჩა ქალაქის ტერიტორიაზე. მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერი ფოცხვერიამ, ისე როგორც მისმა ყველა წინამორბედმა თავის დროზე განაცხადა, რომ “მიმდინარეობს სამუშაოები არხების გასაწმენდად. ამისთვის თანა ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც გამოიყო. იქმინდება ქალაქის ტერიტორიაზე გამავალი მდინარეების კალაპოტები, ყველა წყალსარეტი, თუ სანიაღვრე არხი. შეამჩნევდით კიდევ ქალაქის გადათხრილ ქუჩებს. ვფიქრობთ ეს საშუალებას ახლა კი, კარგად გვახსოვს ჟურნალისტებს ჩვენს მიერ დასმულ უკვე შაბლონად ქცეულ კითხვაზე, “არის თუ არა განმსახვრელი ხარისხი სამუშაოების შესრულებისას”, ასევე შაბლონად ქცეული პასუხი მშენებელი ორგანიზაციი-

ხელმწიფო თანხებს იმტომ ხარჯავს ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, რომ სამუშაოები ხარისხიანად შესრულდეს. პასუხს სტიქიას ვერ მოეთხოვო, პასუხი მშენებელმა ორგანიზაციებმა უნდა აგონ, თუ მათ მცდელობა დააკლეს საქმეს. ზეპირად ვერაფერს ვერაფერს დაგაბრალებ. დაველოდოთ სპეციალისტების დასკვნას.” – ამბობს ვალერი ფოცხვერი.



მისცემს ქალაქის ცენტრს და ამ პრობლემას, როგორც თქვენ აღნიშნეთ ტრადიციულს, მოგვარებს.”

მღიერი წვიმების დროს მუნიციპალიტეტის გამგებელი თავად იმყოფებოდა ყველა “წყალნალეზულ” ობიექტზე. იგი დაგვეთანხმდა იმაში, რომ ახლად აღდგენილი ინფრასტრუქტურა ასე ადვილად მწყობრიდან არ უნდა გამოსულიყო. მით უმეტეს, სტიქიის მასშტაბები იმდენად დიდი არ იყო, ამხელა ნგრევა რომ “გვეპატივებია.” ყველა ეს ობიექტი 20-30 წლის წინ, ჯერ კიდევ კომუნისტების ეპოქაში გავიდა ექსპლოატაციამ და ბოლო წლებამდე მოყვა მამინ ჩატარებული სამუშაოების გამძლეობა.

სა, “რა თქმა უნდა!” და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა, “უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებს არ ჩავიბარებთ!”

“შემის თქვენი კითხვის პათოსი. არის ზოგიერთი ობიექტი, რომელმაც გაუძლო სტიქიის გამოცდას, მაგალითად მდინარე “კაპიტონას” სანაპიროზე აგებული გაბინა, ზოგიერთმა კი, ვერ გაუძლო. ამის მაგალითი “ხევისწყალაზე” აგებული გაბინაა, რომელიც საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა. სამხარაულის ექსპერტის ბიუროს უკვე მივმართეთ და მიხედავს პროფესიონალები დაადგენენ. მათი დასკვნის მიხედვით პასუხი ყველა დამნაშავეს მოეთხოვება. სა-

გალმა ზონა აქილევსის ქუსლია ზამთარ-გაზაფხულზე უხვი ნალექის დროს სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის. გამგებელმა ისიც აღნიშნა, რომ საბედნიეროდ მსხვერპლი არ არის, თორემ მაღალმთიან ზონაში ერთგან მეწყერიც დაიძრა.

ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილი უკვე მიმართა ადგილობრივმა შესაბამისმა სამსახურებმა. ამ ჯერზე ზიანის აღსადგენად მუნიციპალიტეტს დაახლოებით 78 ათასი ლარი გამოეყო. როგორც გამგებლისგან გავიგეთ, ახლახან დასრულებული ობიექტების ირგვლივ მოგვლევა მიმდინარეობს, ვის დაბრალდეს წყალწყობილი ათასები, მშენებელ ორგანიზაციას, თუ სტიქიას. სტიქიას, თუ ეს მისი ბრალაა, რა თქმა უნდა, პასუხს ვერ მოეთხოვო, თუ სხვისი და... შედეგებს დაეჭობა. “შე თქვენს კითხვაზე, გახსოვთ ალბათ, ყოველთვის გასახუბოთ და ამიერიდანაც ასე გიპასუხებთ, ხარისხს მდინარე თავად გამოცდის.” – გაიხსენა გამგებელმა. ამ-აში ჩვენ დავუთანხმობთ მას, მითუმეტეს, რომ მდინარეებმა ხარისხი გამოცადეს და შეიძლება ითქვას, სამხარაულის ექსპერტებზე კარგადაც!

ვალდებულებები ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმით

თბა ბაგუნაშვილი

ყნის გკონციის ხაზის სხილით მოპარვის უიყოფს!

მაკორიტიანი დეპუტატი გიორგი კახიანი, სტუდენტთან ერთად ჩამოვიდა სამტრედიის. საუბარი, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერი, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურა და მისი მოადგილე კობა ძიძიგური ესწრებოდნენ, საჯარო მოხელეებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს ღია პარლამენტის გეგმით აღებული ვალდებულებების მიმოხილვას წარმოადგენდა.

ღია მმართველობის პარტნიორობა, საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი გახლდათ “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის” კოორდინატორის, დავით მისურაძის საუბრის თემა. იგი აღნიშნავდა, რომ: “ინფორმაციის განვითარების თავისუფლების ინსტიტუტი, რომელსაც მე წარმოვადგენ, არის არასამთავრობო ორგანიზაცია. იგი მონაწილეობს იღებს, საქართველოში ღია მმართველობის პარტნიორობის ინსტიტუტში. რამდენიმე განვითარებული ქვეყანაში – ამერიკაში, ბრაზილიაში, ინდონეზიაში, გაუგებარა წერილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს, რომ შეერთებოდნენ ღია მმართველობის პარტნიორობას. ამ შინაარსის წერილი საქართველომაც მიიღო. თავის მხრივ ღია

მმართველობის პარტნიორობა გულისხმობს ოთხი გამოწვევის გადაწყვეტას. ერთი ეს არის, მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაში; მეორე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მხარდაჭერა; მესამე კორუფციასთან საბრძოლველად ეფ-

რო გახლავთ. საქართველოს მიერ წარდგენილი გეგმა მოიწონეს, თუმცა, მის მიხედვით მოქალაქეთა ჩართულობის მხრივ მთავრობის არასაკმარისი ინიციატივა ჩაითვალა. ეს და მსგავსი შეხვედრები ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად იმართება. ამჯერად მთავრობა მეორე

დროს გააქტიურდა მისი ჩართულობა ამ პროცესში. ამ მხრივ მოწინავე ქვეყნად ჩილე ითვლება. მას საფრანგეთი, ხორვატია, მონტენეგრო შეუერთდნენ. ამ კუთხით დაინტერესებული და წარმატებული 6 სახელმწიფო და მათ შორის საქართველოა. საპარლამენტო დიალოგის გე-

მოწინა. მისი ქართული ანალოგი, როგორც დავით მისურაძემ აღნიშნა, ამ ეტაპზე არ აქვთ.

პარლამენტარმა გიორგი კახიანმა, საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულებებზე საუბრისას, განაცხადა, რომ საპარლამენტო დიალოგის სამოქმედო გეგმა 19 ვალდებულებისგან შედგება, რომელთა შესრულებაც დროში გაწერილი წინასწარვე გახლავთ. მისი ძირითადი მექანიზმი დაფუძნებულია და გულისხმობს დიალოგს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის. მასში ერთი მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადოება, ხოლო მეორედან, სახელმწიფოა ჩართული. შესაბამისად ამ საკითხზე ორი ჯგუფი მუშაობს, ერთი არასამთავრობოებით, მეორე კი პარლამენტარებით დაკომპლექტებული. სამტრედია პირველი აღმოჩნდა, სადაც ეს გეგმა საზოგადოებას გააცნეს. იმ შეხვედრაზე მისი პრეზენტაცია გაიმართა. “საპარლამენტო დიალოგის სამოქმედო გეგმა მოსახლეობის ყოველდღიურ საპარლამენტო საქმიანობაში ჩართვაზე ორიენტირებულია. ამ სამოქმედო გეგმის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი წარმატებულია შორის აღმოჩნდა. ასეთი შეფასება მას მექსიკაში ცოტა ხნის წინ ჩატარებულ კონგრესზე მისცეს. მნიშვნელოვანია საზოგადოების პარლამენტის საქმიანობაში ჩართულობა, იმ გადაწყვეტილებების გასაჯაროება, რომელსაც ქვეყნ-



ექტური ღონისძიებების გატარება და მეორე გამჭვირვალობის მაღალი დონის მიღწევა გახლავთ. თავდაპირველად ეს წამოწყება გულისხმობდა მთავრობის ჩართულობას ღია მმართველობის პარტნიორობაში.”

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, საქართველომ თავისი სამოქმედო გეგმა 2012 წელს წარადგინა. ამ პროცესების მაკორდინებელი ოუსტიციის სამინისტ-

სამოქმედო გეგმაზე მუშაობს. ღია მმართველობის პარტნიორობა 66 სახელმწიფოს აერთიანებს. მათი მხრიდან ძირითადი მთავრობები არიან წარმოდგენილი. ყველა ამ ქვეყნის მთავრობა თავად იღებს ვალდებულებას საკუთარი მოქალაქეების წინაშე, სხვადასხვა სფერო გამჭვირვალე გახადონ მოსახლეობისთვის.

რაც შეეხება პარლამენტს, ბოლო

გეგმაში საქართველო 2014 წლის ბოლოს გაეროს განვითარების პროგრამით ჩაერთო. მასზე მუშაობა გაერომ საქართველოს პარლამენტთან ერთად დაიწყო. IDFI-ის წარმომადგენელს თან არაერთი ბროშურა და ბუკლეტი ჰქონდა სასაუბრო თემის უკეთ აღსაქმელად, თუმცა, აქვე ისიც, რომ უშუალოდ ორგანიზაციის მუშაობის ამსახველი ბროშურა, მხოლოდ ინგლისურ ენაზე დაბეჭდილი აღ-

ყოველ წუთში ველოდებით პრობლემას, მაგრამ მზადყოფნაც გვაქვს გამოცხადებული

ნინო ნაწილაკაძე

26 ნოემბერს, გვიან ღამით აბონენტებს სამტრედიის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდა. ამის შესახებ ადგილობრივ ხელმძღვანელობას რამდენიმე დღით ადრე ეცნობა. მიმართვის ტექსტში აღნიშნული იყო, რომ გაზის ტრანსპორტირების კომპანია მიმდინარე საექსპლუატაციო სამუშაოებს ახორციელებს ავტობანის მშენებლობასთან დაკავშირებით, რის გამოც 25 ნოემბერს ღამის პირველი საათიდან ბუნებრივი გაზის მიწოდება შეწყდება სამტრედიის, ხონის, მარტვილის მოსახლეობასა და კომერციულ ობიექტებს. იქვე აღნიშნული იყო, რომ ბუნებრივი აირის მიწოდება განახლება ეტაპობრივად 26 ნოემბრიდან 28 ნოემბრის ჩათვლით. გამორთვა-ჩართვის პროცედურები და ვადები რომ იყო დაცული, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ამაში 25-26-27 და 28 ნოემბერს განვითარებულმა მოვლენებმა დაარწმუნა. მოსახლეობა მოწმე გახდა იმისა, თუ როგორ ხარისხიანად და სერიოზულად მოეკიდნენ საქმეს იმერეთის რეგიონალური ოფისის თანამშრომლები. გაზის კომპანიის სპეციალისტები ქუჩებში რუბორებით დადიოდნენ და მოსახლეობას ინტენსიურად ატყობინებდნენ. სამტრედიის მუნიციპალიტეტში ბოლო პერიოდში კომპანიის მიმართ მომდურავ ადამიანებს ნაკლებად შეხვედებოდა. ხელისუფლება ამას ახალი მენეჯმენტით და ახალი მენეჯერის მოსვლით ხსნის.

“სამტრედიის მაცნე” 28 ნოემბერს ბერდა კანკაძეს დაუკავშირდა, რომელიც სამტრედიის იმერეთის რეგიონალური ოფისის წარმომადგენელი გახლავთ. ვიდრე მასთან კომენტარს შემოგთავაზებდით, ჩვენი გაზეთის მეთხველს ბატონ ბერდას ბიოგრაფიას მოკლედ გავაცნობთ. იგი საკმაოდ კარგი ბეგრანდის მქონე პიროვნება გახლავთ. ბერდა კანკაძე 2015 წლის იანვრიდან შპს “სოკარ ჯორჯია გაზის” სამტრედიის სერვისცენტრის მენეჯერია. 1969 წელს დაიბადა ქუთაისში, მოსამსახურ-

ის ოჯახში. დაამთავრა ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლა. წარჩინებით დაასრულა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. თავისივე პროფესიით სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში. აქვს მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის ხარისხი. განათლება მიიღო ქუთაისის ჰუმანიტარულ და სამართლის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. ბერდა კანკაძე 1995-1999 წლებში მუშაობდა შემოსავლების სამმართველოს იმერეთის ოპერატიული სამსახურში.

1999-2009 წლებში შემოსავლების სამსახურის მსხვილ გამამხდელთა საგანგებო ინსპექციაში დასავლეთ საქართველოს განყოფილების ხელმძღვანელად. იყო ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღირცხვისა და პრევენციის იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმის რე-

ულები, ზრდილობანები. რაც შეეხება ადგილობრივ ხელისუფლებას, კომფორტული ურთიერთობა მაქვს გამგებთან, საკრებულოსთან, დეპუტატის ბიუროსთან და რაც მთავარია, მოსახლეობასთან. შეიძლება ითქვას, რომ სამტრედიის



გიონალური ოფისის ხელმძღვანელი. 2010-2012 წლებში ბერდა კანკაძე შპს “ჯეოფერომატალი” რუსთავის ფეროშენადნობთა ქარხნის ფინანსური დირექტორის პოსტს იკავებდა. 2012 წლიდან შპს “ვანი გაზის” დირექტორია, 2013 წლის ივლისიდან შპს “სოკარ-ჯორჯია-გაზის” ვანის სერვისცენტრის მენეჯერი გახდა. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

მუნიციპალიტეტში გაზიფიკაციის პროცესი მაქსიმალურად არის განხორციელებული. პრაქტიკულად ქალაქი და ყველა სოფელი, გარდა გდმა ზონისა, გაზიფიკირებულია. 2015 წელს დაახლოებით 2800 ახალი აბონენტი ავიყვანეთ. რაც შეეხება მდინარე რიონის გადამსოფლებს, რთული რეალიზაციის გათვალისწინებით მისაღობ და დაბალი სიმაღლის სოფლებში ზამთრის პირობებშიც ვიმუშავებთ.

2015 წლის იანვრიდან სამტრედიისში გაამწესეს. ამბობს, რომ ის, რასაც მოელოდა, არ დახვდა: “შეგონა, რთულ სიტუაციაში აღმოჩნდებოდი. შეიძლება კოლექტივთან, ახალ თანამშრომლებთან, სამტრედიის ხელისუფლებასთან მუშაობა გამჭირვებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა. სამტრედიისში არაჩვეულებრივად კარგი სამუშაო გარემო დამხვდა. უპირველეს ყოვლისა, გარშემო შემოკრებილი მყავს ახალგაზრდა კადრები, განათლებულები, ერუდირებულები, საქმის ერთგულები, პასუხისმგებლობითა და კეთილსინდისიერებით გამორჩე-

ულნი. მოსახლეობამ იცოდეს, დაახლოებით 16 000 აბონენტს გაზი არა “სოკარ ჯორჯიამ” შეუწყვიტა, არამედ მომწოდებელმა. და ეს საკვარისო სამუშაოებს არ უკავშირდება. ქსელი რომ მოწესრიგებული ყოფილიყო, ჩვენმა კომპანიამ მთელი ზაფხულის განმავლობაში საკმაოდ რთული სამუშაოები მაქსიმალურად იტვირთა, რომ ხარისხიანად მოვსახურებოდით ჩვენს ხალხს. გიმეორებთ, გაზის გამორთვა გაზის ტრანსპორტირების კომპანიიდან, ავტობანის მშ-

ნებლობას შეეხება. მინდა მოსახლეობამ ასევე იცოდეს, ჩართვის საკითხი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე გამოთვლა. ქალაქში, როგორც ხონში, ასევე სამტრედიისა და მარტვილში, შემოსულია ე. წ. რუბორიანი მანქანები, 26 ნოემბრის დღიდანვე ვაფრთხილებთ მოსახლეობას. 26 ნოემბერს გვიან ღამით მოგვარდეს გაზი. სტრატეგიულ ობიექტებს ჩვენ ღამის 3 საათზე აღუდგინეთ მიწოდება, თხოვნა გვექნება, მოსახლეობა იყოს მობილიზებული, ორგანიზაციები ჩაეკითხეთ მდგომარეობაში. 28 ნოემბერს სრულად იქნება გაზის მიწოდება აღდგენილი. ასევე მინდა, გიპაუხით შეკითხვაზე, ზოგადად რა პირობებში გვიხდება მუშაობა. ძალიან რთული სიტუაციაა ქსელების მიმართულებით. მოგესხენებათ, სამტრედიის რეინჟინერინგის ქალაქია. რეინჟინერინგის ახლოს მდებარე მილსადენები წინა საუკუნის 80-იან წლებშია აშენებული. ძალიან ძველია. საშუალო წნევის გაზსადენებზე ხშირია ავარიები, ქსელი მოქცეულია ასფალტის საფარის ქვემოთ. საშუალო წნევის გაზსადენები პრაქტიკულად მთელ ქალაქს მოიცავს. გამოძიებთ, გაემგებოდათ შეთანხმებულად ვჭრით ხოლმე ქალაქში გზებს, ვახსლებთ ქსელს. შეამჩნევდით ალბათ, რომ გზის საფარს მოუწესრიგებდეს არ ვტოვებთ. სადაც ვახსენებთ, ყველგან აღვადგენთ. იმის გამო, რომ რეინჟინერინგის ქალაქია და რეინჟინერინგის მოხეტიალე დენები ახიანებს ამ ფოლადის მილსადენებს, თავის მხრივ ძალიან რთულ მდგომარეობაშია მილსადენები და როდის რა პრობლემას დაგვიყვანებს ეს კოროზიები, არ ვიცით. წინა კვირაში სოფელ იანეთში გაგვთხდა ხონი-მარტვილის ქსელი, რომელიც ასევე სამტრედიის სოფლების გაზით მკვებავი მაგისტრალია. იქ შევკავავეთ დაზიანება. ყოველ წუთში ველოდებით პრობლემას, მაგრამ მზადყოფნაც გვაქვს გამოცხადებული”.



ის საკანონმდებლო ორგანო იღებს.” იქვე პარლამენტარმა ბეკდური, ელექტრონული და ზოგადად მედიის ამ პროცესებში ჩართულობაზე გააკეთა აქცენტი: “ბეკდურ მედიას ამ საკითხების წამოწევაში უდიდესი როლი აკისრია. ფაქტობრივად ეს გახლავთ კიდევ მისი ფუნქცია. სანამ ინტერნეტსივრცე არ არსებობდა, ბუნებრივია, მთელი ეს პასუხისმგებლობა ბეკდურ მედიასე მოდიოდა, დღეს მნიშვნელოვანია, როგორც ბეკდური, ისე ელექტრონული სივრცის დატვირთვა ამ კუთხით. თანამედროვე ტექნოლოგიები უკვე ამ რელსებზე არიან გადასული, თუმცა, ეს ორი ერთმანეთს არ გამოირცხავს.”

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის დირექტორი სოფიო კირთაძე საუბრობდა იმაზე, თუ რა შექმნილია მუშაობს მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა ინფორმირებულობის კუთხით: “სამტრედიის ოფიციალური ვებ-გვერდი www.samtredia.com.ge საინფორმაციო საშუალებაა, რომლის დანხარებითაც შესაძლებელია მოსახლეობამ სწრაფად და კომფორტულად მიიღოს ინფორმაცია მუ-

შემოდის ქვეყანაში. საინფორმაციო ტექნოლოგიები სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მანიშნებელია.” – ამბობს სოფიო კირთაძე. მიმოხილვა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმების შემდგომ დინამიკასა და ინფორმაციის საჯაროობაში მოქალაქეთა ჩართულობაზე, სამტრედიის საკრებულოს თავმჯდომარის მო-



ადგილზე, კობა ძიძიგურმა გააკეთა. დისკუსიაში საზოგადოების წარმომადგენლები ჩაერთვნენ. “ვისურვებდი, უფრო მეტი ახალი სახე ესწრებოდეს მსგავს შეხვედრებს. უნდობლობა საზოგადოებასა და ხელისუფლებას, საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის გამომდინარეობს იქიდან, რომ ნებისმიერი არასამთავრობო უცხოურის კა-

ლგაა, რაც უფრო დამოუკიდებელი და ქართული იქნება მათი საქმიანობა, მით უფრო მეტად მოიზიდავენ საზოგადოებას. ის, რაც საქართველოში ტრადიციულად არსებობდა სვანეთში, ხევსურეთში, თუშეთში, მესხეთში, აჭარაში და იმერეთშიც, ანუ სათათბიროები, დღეს კანონის დონეზე საკრებულოებისა და პარლამენტის სახით ფუნქციონირებს. მათი ჩართულობა, ვინც ამ ორგანოებში არჩეული არ გახლავთ, მნიშვნელოვანია, თუმცა, იქ აზრების გადახარისხებაც არის საჭირო. და ეს საზოგადოებას ტვირთად რომ არ დააწევს, პირველ რიგში თავად ეს ორგანოები უნდა დაიწინდოს.” – აღნიშნა ლევან ბუაჩიძე. ჯონი ნადირაძემ, ისე როგორც შეხვედრის დასაწყისში გიორგი კახიანიძე, პარლამენტის და საერთოდ ქართული პოლიტიკის ეთიკის კოდექსზე გააკეთა აქცენტი: “როცა სამართლებრივ ქვეყანას ვაშენებთ, ხელიგნობაზე ადამიანმა უნდა აგოს პასუხი! ლანძღვა-გინება, გინდ პარლამენტში და გინდ სხვა შეკრებაზე, ნორმალურია?! არ ვიცი რა ჩაიწერა პარლამენტის ეთიკის კოდექსში, რომელზეც აქ იყო საუბარი, მაგრამ, ვიცი, რომ მის დამრღვევს პასუხი უნდა მოეთხოვოს. ორი დღის თუ მეტის ხელფასის დაქვითვა არაფერს ნიშნავს. ეტყობა ჩვენს პარლამენტს რა შედეგიც მოუტანა ამან. გეგუფიან, ხალხმა აირჩიაო – ხალხით აპყვებიან ნუ დავიწყებთ. თუ ადამიანი არღვევს კანონს, მით უმეტეს თუ იგი კანონმდებელია,

მას კანონის მიხედვით უნდა მოეთხოვოს. ის ადამიანები, რომელთა ჩართულობაზეც ვსაუბრობთ, ხელავენ, მათი რჩევები აკერ ერთმანეთს ლანძღავენ, მეურ კი ერთად ქვიფობენ. ეხადებათ კითხვა: ვინ არიან ესენი, პარლამენტარები თუ აფერისტები? უკაცრავად, ეს ხალხის აზრია. პარლამენტი, მთავრობა, ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლება ერთად უნდა განვიხილოთ, იგი ერთი მექანიზმია.” სტუმრები მას აქაც დაეთანხმნენ. მეტეც, გიორგი კახიანიძე აღნიშნა კიდევ, რომ “სამწუხაროდ, დღევანდელი პარლამენტი ეთიკის ნორმების დაცვით ვერ დაიკავებს.” რაც შეეხება პარლამენტის და ქვეყნის მმართველობასა და ღიაობაში ჩართულობას, აქაც საინტერესო აღმოჩნდა ჯონი ნადირაძის მოსაზრება: “ზოგიერთებს ძალიან უნდათ საზოგადოება პარლამენტს ან მთავრობას დაუპირისპირონ. ასე არ შეიძლება. არასამთავრობო ორგანიზაცია ნიშნავს, რომ იგი ხელისუფლების ნაწილი არ არის და ბიუჯეტებიდან არ ფინანსდება. არასამთავრობო ანტისამთავრობო არ ნიშნავს! დღეს სამი კაცი რომ შევირბოთ, შეუძლიათ ორგანიზაციის, ან პარტიის ჩამოყალიბება. უკვე ვირჩევს და ციყვებს არქივეს პარტიებს. გამოვლენ მერე და საზოგადოების სახელით საუბრობენ. ხალხის სახელით რომ დაპარაკობ, უნდა გქონდეს ხალხის სახელით დაპარაკობის უფლება!” არასამთავრობო ორგანიზაცია “სამოქალაქო საზოგადოება მდგრადი განვითარებისთვის” აღმასრულებელი დირექტორი კანა ნადირაძე, საზოგადოების ჩართულობასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხით დაინტერესდა, რაზეც კომპეტენტური პასუხები მიიღო.



6060 ნაწილაკები

“თუ საჭირო იქნება და ვიგრძნობ, რომ სხვა ამბულაში ვკვირდები ჩემს ქვეყანას, აუცილებლად გადავდგამ ამ ნაბიჯს”. – ეს სიტყვები ეკუთვნის მსოფლიო ბანს, პაატა ბურჭულაძეს, რომელმაც ფურნალისტის შეკითხვას, აპირებს თუ არა “იავნანას ფონდის” დამაარსებელი პოლიტიკაში წასვლას, ასე უპასუხა.

უფრო მოგვიანებით მიცემულ საგაზეთო ინტერვიუში პაატა ბურჭულაძე, პოლიტიკაში მოსვლას არ გამოიციხავს. მან განაცხადა, რომ გამსახურდათი დაწესებულება მას პოლიტიკაში მოსვლას ყველა ლიდერი სთავაზობდა, მაგრამ იგი არ დათანხმებულა, თუმცა ამავე ინტერვიუში ბურჭულაძე არ გამოიციხავს, რომ მომავალში სხვაგვარად მოიქცეს. პაატა ბურჭულაძის თქმით, ამ გადაწყვეტილებას პატრიარქის ლოცვა-კურთხევის გარეშე არ მიიღებს. მანამდე კი ქართულ პოლიტიკაში კიდევ ერთი, ახალი პოლიტიკური პარტიის გამოჩენის შესახებ ალაპარაკდნენ. როგორც “ჯი-ეი-ენის-თვის” გახდა ცნობილი, პაატა ბურჭულაძემ და ვანო მაჭავარიანმა ფონდი დააარსეს, რომელიც უახლოეს 2 თვეში პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდება.

საქართველოს კომისიამ რიგ ნორმის განცხადება აღმასრულებელ ხელისუფლებას გადაუცხადა

6060 ნაწილაკები

შრომის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია რამდენიმე დღის წინ მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის კაბინეტში შეიკრიბა და ერთადერთ საკითხზე იმსჯელა. “ნაბიჯი სამტრედიას” დამფუძნებლის, ლილი ნოდიას განცხადება კანცელარიაში 2015 წლის 16 ივნისს შევიდა, რომელიც შესასწავლად გოგი ლეჟავას დაეწერა.

ამ განცხადების შესახებ “სამტრედ-



ის მაცნეს” მკითხველმა 20 ნოემბრის ნომერში შეიტყო, რომლის შესახებაც თავად ქალბატონი ლილი ნოდიასთვის ესაუბრა. ამდენად, ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, თუ რას მოითხოვდა იგი მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიისგან. შეგახსენებთ, რომ “ნაბიჯი სამტრედიას” დამფუძნებელი ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით 70 000 ლარს ითხოვს.

აღნიშნულ საკითხზე 18 ნოემბერს საკრებულოს კომისიის სხდომაზე იმსჯელა. შეხვედრას ესწრებოდნენ განმცხადებელი ლილი ნოდა და კომისიის წევრები: დეპუტატები უმრავლესობიდან რაფინ ტორონჯაძე და დავით აბალოძე, ხოლო უმცირესობიდან – ზურაბ ზაქარაიძე.

“სამტრედიის მაცნე” კომენტარისთვის შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს დაუკავშირდა. გოგი ლეჟავა მისვალმება მსგავსი პროექტების დაფინანსებას, თუმცა მისივე აზრით, ადგილობრივი თვითმმართველობას თავისი შესაძლებლობის ფარგლებში უნარშეზღუდული ბაუზები უყურადღებოდ არ ჰყავს დატოვებული: “სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური

აპოლონი სტუჩუა: “მივსაძინებ ჩვენი პარტიის პოლიტიკაში მოსვლას”

ბას პატრიარქის ლოცვა-კურთხევის გარეშე არ მიიღებს. მანამდე კი ქართულ პოლიტიკაში კიდევ ერთი, ახალი პოლიტიკური პარტიის გამოჩენის შესახებ ალაპარაკდნენ. როგორც “ჯი-ეი-ენის-თვის” გახდა ცნობილი, პაატა ბურჭულაძემ და ვანო მაჭავარიანმა ფონდი დააარსეს, რომელიც უახლოეს 2 თვეში პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდება.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაციის პირი – პაატა ბურჭულაძე – საქართველოს განვითარების ფონდი, 2015 წლის 30 ოქტომბერს დარეგისტრირდა. ამავე მონაცემებით, ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა პაატა ბურჭულაძე, წევრები არიან: ივანე მაჭავარიანი, მერაბ ტყეშელაშვილი, ირაკლი გურჩიანი. ივანე მაჭავარიანი ასევე იკავებს აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას.

ირაკლი გურჩიანი “ტიმოტა ცენტრი თბილისის” დამფუძნებელია, ხოლო მერაბ ტყეშელაშვილიც ასევე ბიზნესმენია. “ჯი-ეი-ენის” ინფორმაციით, პარტიაში იქნებიან გიორგი რუხაძე, რომე-

ლიც “ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის” საერთაშორისო მდივანი იყო; ექსპერტი ხათუნა ლავანიძე და ოუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე დავით ჯანდიერი.

ახალი პოლიტიკური ძალის შექმნის შესახებ სამტრედიის პოლიტიკურ წრეებშიც ალაპარაკდნენ. უფრო მეტიც, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ახალი პოლიტიკური ძალის რაიონული ორგანიზაციის ჩამოყალიბებასა და მისი მომავალი ლიდერის შესახებ პროგნოზირებენ. ამ ამბავმა ბევრი შეიძლება სასიამოვნოდ გაკვირვებულიც კი დატოვოს: მაგნიტის თქმით, ახალი პარტიის თავმჯდომარედ შეიძლება ავთანდილ სტურუა რამდენიმე პოლიტიკურ ძალასა და პარტიაში გამობრძმედილი, ხოლო დღეს უპარტიო ავთანდილ სტურუას დაუკავშირდა და კონკრეტულ თემზე კომენტარი სთხოვა. ყოფილი ზვიადისტი, ყოფილი “აღორძინების” სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ყოფილი “ნაციონალი”, დღეს კი პარტია “თვითმმართველობა ხალხის” მანდატით საკრებულოში მოხვედრილი დეპუტატი, უფრონალისტი შეკითხვას, მართალია ძალიან არ გაუკვირვებია, თუმცა პაატა ბურჭულაძესთან წინასწარი საუბრები აბსოლუტურად უარყო. უფრო მეტიც, ზემოაღნიშნული ჯორის შესახებ თქვენგან შევიტყვეო, გვიპასუხა.

გადასახადი შეჩვევით?

არცთუ შორეულ წარსულში, საზოგადოების ერთი ნაწილი ქვეყნისა და ერის გადარჩენის ერთ-ერთ პირობად საქართველოში წყლის რესურსის დიდ მარაგს ასახელებდა, თუმცა, მომდევნო წლებმა რეალობა სულ სხვაგვარად წარმოაჩინა.

მტკნარი, სასმელი წყალი, არათუ უცხოელთათვის, თვით ბედკრული ქართველებისთვისაც ფასიანია. ამაში საკვირველი ერთი შეხედვით თითქოს არაფერია, თუმცა საქმე ამჯერად ერთ პასუხგაუცემელ კითხვას ეხება.

წყლების წინ მუნიციპალიტეტის რიგ ქუჩებში, ოჯახებში მოხმარებული წყლის კონტროლისათვის მრიცხველები დააყენეს. რაკილა გამრიცხველიანების პროცესი ერთ და ორ კვირაში ვერ დასრულდებოდა, ხალხი გულმოღვინედ იხილდა ფიქსირებულ (მრიცხველის ჩვენების მიხედვით) გადასახადს, ეგონათ გადახდა საყოველთაო იქნებოდა.

გაეიდა დრო. ერთ ქუჩაზე, ერთ სოფელში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გამრიცხველიანდა, ე. ი. მოვალენი არიან გადაიხადონ წყლის ფული, მეორე ნაწილი კი არ ექვემდებარება გადახდას?!

მეორე საკითხი, სისტემური ხასიათი მიეცა მრიცხველთა ჩვენების შემოწმების გარეშე ოჯახებში (კონსპირაციულად) ქვითრების ჩაყრას!

შესაძლებელია, მაღა ჭამაში მოდისო და... 4-5-6 თვე არავის შეუმოწმებია მრიცხველები, ისე დაურიგეს ოჯახებს 60-70-100 ლარიანი ქვითრები! (დაგროვილი გადასახადი).

საკითხავია, ნუთუ ცნობილი არაა რა ვითარებაშია ხალხი? ან როდის უფრო გადაიხდის ოჯახი ფულს, როცა 7-8-10 ლარია ყოველთვიურად გადასახადი, თუ ერთად 7-8 თვის ნაგროვებ თანხას?

მეორე და ყველაზე საკვირველი, ამას წინათ საინფორმაციო საშუალებებით ცნობილი გახდა, რომ სამი მილიონი ლარის გაფლანგვის ბრალდებით დააკავეს საქართველოს წყლის კომპანიის მთავარი ბუღალტერი.

ფორალ, იმ ბუღალტერს, თუ ამდენი მაკონტროლებლის მიუხედავად ამდენი შესძლო. და მაინც, რა გვაწუხებს ჩვენ, ხალხს?

ის, რომ როცა თუნდაც ერთ ოჯახს, თუნდაც 10 თეთრს ვახდევინებთ წყალში, იგივე წყალი უმიზნოდ არ უნდა იღვრებოდეს, არც ქუჩაში, არც მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების ეზოებში, არც... რას ვინამთ, ღუმელი ყოველთვის არაა ოქრო.

დაბოლოს, რა კრიტერიუმებით შეფასდა მოსახლეობა, როცა ერთ ნაწილს ვახდევინებთ ფულს, მეორეს კი არა?

ლევან ბაგრაძე

რეზუმეში მოხვედრილი დეპუტატი, უფრონალისტი შეკითხვას, მართალია ძალიან არ გაუკვირვებია, თუმცა პაატა ბურჭულაძესთან წინასწარი საუბრები აბსოლუტურად უარყო. უფრო მეტიც, ზემოაღნიშნული ჯორის შესახებ თქვენგან შევიტყვეო, გვიპასუხა.

ავთანდილ სტურუამ კომენტარში მსოფლიო ბანის, საქველმოქმედო ფონდი “იავნანას” დამფუძნებლის მიმართ თავისი უდიდესი პატივისცემა გამოხატა: “მივესალმები პაატასნაირი საზოგადო მოღვაწეების, წესიერი, მორწმუნე ადამიანების პოლიტიკაში მოსვლას. იმდენად, რამდენადაც მოდიან პოლიტიკაში და შემდგომ რაღაც გარკვეულ შედეგს აღწევენ, მეორე უკვე დაპირებებიც ავიწყლებათ. უფრო დიდ პოლიტიკაშიც, მცირეშიც, პოლიტიკა ხდება ე. წ. “ცეხის” მომენტი, საშოვარი. მე აბსოლუტურად გამოვირიცხავ, ეს კაცი ამ გზით წავედეს. პაატა ბურჭულაძე ქველმოქმედ ადამიანია, პიროვნება, რომელმაც გარკვეული ფინანსები დააგროვა საკუთარი ნიჭით, უნარით. თუ კი იგი მიიღებს პოლიტიკაში წასვლის გადაწყვეტილებას, ნა-



მდვილად სჭირდება ქართულ პოლიტიკას და ამ ფაქტს მივესალმები. რაც მთავარია, პაატა ბურჭულაძე, არის ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანი, ღრმად მორწმუნე, არ მისცემს თავის იმს უფლებას, ეკლესიის წინააღმდეგ წავიდეს. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, ვიქნები თუ არა ბურჭულაძის პარტიაში, მინდა ვითხრა, რომ შეხება არ მქონია ამ თემასთან, ფონდის დამფუძნებლებთან. ხოლო, თუ რას ვფიქრობ, რას ვინამთ მომავალში, ამაზე ჯერ ვერ ვიპასუხებთ. კიდევ ვიმეორებთ, მივესალმები პაატასნაირი ადამიანების ქართულ პოლიტიკაში მოსვლას. მართალია, წლების განმავლობაში აქტიურად ვიყავი ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში, მართალია, დღეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვარ, აქტიურ, რადიკალურ პოლიტიკაში არ ვახლავარ ჩართული”.



გადასახადი შეჩვევით? (კონსპირაციულად) ქვითრების ჩაყრას!

შესაძლებელია, მაღა ჭამაში მოდისო და... 4-5-6 თვე არავის შეუმოწმებია მრიცხველები, ისე დაურიგეს ოჯახებს 60-70-100 ლარიანი ქვითრები! (დაგროვილი გადასახადი). საკითხავია, ნუთუ ცნობილი არაა რა ვითარებაშია ხალხი? ან როდის უფრო გადაიხდის ოჯახი ფულს, როცა 7-8-10 ლარია ყოველთვიურად გადასახადი, თუ ერთად 7-8 თვის ნაგროვებ თანხას? მეორე და ყველაზე საკვირველი, ამას წინათ საინფორმაციო საშუალებებით ცნობილი გახდა, რომ სამი მილიონი ლარის გაფლანგვის ბრალდებით დააკავეს საქართველოს წყლის კომპანიის მთავარი ბუღალტერი. ფორალ, იმ ბუღალტერს, თუ ამდენი მაკონტროლებლის მიუხედავად ამდენი შესძლო. და მაინც, რა გვაწუხებს ჩვენ, ხალხს? ის, რომ როცა თუნდაც ერთ ოჯახს, თუნდაც 10 თეთრს ვახდევინებთ წყალში, იგივე წყალი უმიზნოდ არ უნდა იღვრებოდეს, არც ქუჩაში, არც მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების ეზოებში, არც... რას ვინამთ, ღუმელი ყოველთვის არაა ოქრო. დაბოლოს, რა კრიტერიუმებით შეფასდა მოსახლეობა, როცა ერთ ნაწილს ვახდევინებთ ფულს, მეორეს კი არა?

ლევან ბაგრაძე

უბედური შემთხვევა ბახტაძის ქუჩაზე

უკრაინელი ევდოია შიმო ბახტაძის ქუჩის 162 ნომერში გარდაცვლილი ნახეს. გვიან ღამით თავისი საცხოვრებელი სახლიდან ეზოში გამოსულმა ჯონი დოლიძემ სამეზობლოში კვამლი შენიშნა. მარტოხელა ქალბატონთან, საყვარულოდ, იმ დროს არავინ უნდა ყოფილიყო. ამიტომ ჯონი დოლიძე ამბის გასაგებად და მისაშველებლად იმწუთშივე გაემშურა. როდესაც იგი იმ ოთახში შევიდა, სადაც ევდოია ევლუბოდა, დაინახა ცველწყაიდებული საწოლი, რომელშიც უკრაინელი ქალბატონი იწვა. მისვლა დაგვიანებული აღმოჩნდა, ვინაიდან ექსპერტის დასკვნით, კვამლს მოხუცი ქალბატონი ხანძრის გაჩენამდე გაეგუდა. ბახტაძის ქუჩის მოსახლეობამ იმთავითვე დარეკა 112-ზე. მალევე მოვიდა პოლიცია, სახანძრო-სამშველო და სასწრაფო სამედიცინო სამსახურები. საქმე აღიძრა, რომელიც ქუთაისის სამხარაულის სახელობის ექსპერტის ბიუროს მიერ უბედურ შემთხვევად დაკვალიფიცირდა.

19 ნოემბერს ადგილობრივი თვითმმართველობის ხარჯებით უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი ევდოია შიმო ნახტაძის სასაფლაოზე დაკრძალეს. აღნიშნული ქალბატონის შესახებ განეთი “სამტრედიის მაცნე” ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ წერდა. წარმოშვებით უკრაინელ ქალბატონს არ გააჩნდა მოქალაქეობა, მასზე ბახტაძის ქუჩის მესობლები მეურვეობდნენ. მოსახლეობის აქტიურობით ევდოია შიმოს ადგილობრივი თვითმმართველობა დაახლოებით, 6 თვეა უპოვართა სასაფლაოდან ყოველდღიურად საკვებს უზრუნველყოფდა, რისთვისაც ბახტაძის ქუჩის მოსახლეობა დღესაც მადლობას უხდის მუნიციპალიტეტის გამგეობას, პირადად “სახლი თანადგომას” დირექტორს, მხევიანარ ბოხუას. ნოემბერში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ევდოია შიმოს სახლი დაუქმარა და მოქალაქეობის მინიჭებამდე დაუნიშნა დახმარება – 80 ლარი. ევდოია შიმომ ამ თანხის მხოლოდ ერთხელ აღება მოასწრო.

6060 ნაწილაკები

სამტრედიე "ნაციონალებს" ვუჩივ მომავლად პატივს ნუ ჩაჰყვებიან სამაჩხეში

ნათია ნაცვლიძე

"სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში 20 ნოემბერს დილით სოფელ ბაშში გამგებლის წარმომადგენელი მოვიდა. რამაშ კაშიას სტუმრობის მიზნით გახდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატია, "საქათმე! მკვლელებო! ქათმებო!" – წარწერა, შესაძლოა "კონსერვატორებს" მიუძღვნა ვინმემ!" რომელშიც ჟურნალისტი "ნაციონალების" ოფისის შესასვლელში გაკეთებულ წარწერასა და ამის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე წერდა. რამაშ კაშია გააღიზიანა ემზარ შუბლაძის კომენტარმა, რომელიც "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სამტრედიელი ორგანიზაციის თავმჯდომარემ აღნიშნულ სტატიაში "სამტრედიის მაცნეს" მისცა. კერძოდ, სოფელ ბაშის წარმომადგენელი რამაშ კაშია და მისი სპეციალისტი მალხაზ ნაცვლიძე იყვნენ აქციის მონაწილეა შორის დაასახელა, რაც იმით გაამყარა, რომ ტელევიზიის მიერ გადაღებულ კადრებში რამდენიმე სამტრედიელთან ისინიც დაფიქსირდნენ.

ემზარ შუბლაძის საპასუხოდ რამაშ

კაშიამ იმავე გაზეთს და იმავე ჟურნალისტს მოაშურა. სოფელ ბაშის წარმომადგენელი სამტრედიელი "ნაციონალების" ლიდერს მტკნარი სიცრუის გავრცელებაში ადანაშაულებს: "არ უარყოფ



იმას, რომ მართლაც და აღმოჩენილი ხალხი მაიწყდა ქუთაისის ოფისს. ხომ არ გავიწყდებათ, რომ მასების გაღიზიანება სოციალურ ქსელებში გამოქვეყნ-

ბულ ძალადობის კადრებს მოჰყვა. ხალხს, დიდი დრო უნდა გავიღეს, "ნაციონალების" მიერ ჩადენილი დანაშაულებები და სხვა ბევრი უკანონო დაავიწყდეს. ნამდვილად ვიყავით მე და ჩემი სპეციალისტი იმ დღეს ქუთაისში ჩვენი სოფლის საჭირობოროტო საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ ეხებოდა მოსაცდელის აგებას. ეს უკანასკნელი უნდა უზრუნველყოს საგზაო დეპარტამენტმა, რომლის ოფისი მდებარეობს ქალაქ ქუთაისში ცენტრალური დასახლებული ბაღის ერთ კუთხეში, ხოლო მეორე კუთხეში "ნაციონალების" ოფისია. საგზაო დეპარტამენტთან გამოსულებმა შევნიშნეთ ახლოებული ადამიანები, რომლებიც "ნაციონალების" ოფისისკენ მიემუხრებოდნენ. ჩვენც გავყვეით ხალხს ამ ნაკადს. ასე აღმოჩნდით აქციაზე, სადაც ნამდვილად არ ვყოფილვართ წინასწარი განზრახვით, თუმცა ვთვლი, რომ არც იქ ყოფნით ჩავეიდანია დანაშაული, მოვიხადე წმინდა მოქალაქეობრივი ვალი. სად დაფიქსირდა ჩვენს მიერ გამო-



ხატული ან აგრესია, ან ძალადობა? ნუგზარ წიკლაურს, რა უფლება ჰქონდა, გადაუმოწმებლად რომ აპელირებდა ჩვენი სურათებით. ამ შემთხვევამ მოდელირებული "ქორივა" გამახსენა, რომლითაც "ნაციონალებმა" ბევრ ადამიანს გული გაუხეთქეს. ბუდი ჩემი, რომ აღნიშნული კადრები საზოგადოებრივი ტელევიზიის მეორე არხზე გავიდა, გადაცემა "ბრიფინგის დროში", რომელსაც იმ დროს ჩემი 88 წლის მამა და 82 წლის დედა არ უყურებდნენ, თორემ შეიძლება იმ კადრების ჩვენებას, რომელშიც მოძალადედ აღმოჩნდნენ, მათთვის ვუღიანოვებოდა. ბევრმა ახლობელმა იმ დღეს გაკვირვებულმა დამირეკა, როდის

გახდი მოძალადე და დამარბეველი. ჩვენ ვართ თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქეები და ვერც ემზარ შუბლაძე და ვერც ნუგზარ წიკლაური ავიკრძალავს ოფისებთან დგომას და თავისუფალი აზრის გამოხატვას. თუმცა იმ დღეს ჩვენ არც აზრი, არც პოზიცია გამოგვიხატავს. 3 წუთი არ ვმდგარვართ "ნაციონალების" ოფისთან. იქვე მდგარ ტაძარში შევედით, სახელი ავანთეთ და უფალს ჩვენი ქვეყნის სიძლიერე ვთხოვეთ.

მე ვურჩევ სამტრედიელ "ნაციონალებს", მათ შორის ემზარ შუბლაძეს, ახალგაზრდებს არიან და მომავლად პარტიას ნუ ჩაჰყვებიან სამარეში".

სრუ განათავსების კულაშის საჯარო სკოლაში

25 ნოემბერს კულაშის საჯარო სკოლაში სამართალდამცავები და გამწვანებლები მუშაობდნენ, სკოლის ეზო კი მოსწავლეებით და პედაგოგებით იყო სავსე. მიზნით სრუ შეტყობინება გახლდათ შენობაში ბომბის არსებობის თაობაზე. საბედნიეროდ, შენობაში არავითარი ბომბი არ აღმოჩენილა და ვითარებაც მალე განიმუხტა.

"სამტრედიის მაცნემ" კომენტარი კულაშის საჯარო სკოლის დირექტორს, ნუგზარ კვანტალიანს სთხოვა: "პოლიციელთა თქმით, ზარი განხორციელდა გადაუღებელი დანძარების ოპერატიული მართვის ცენტრ 112-ში. საგარეულოდ, იგი განხორციელდა ვინმე ცოტნე შენგელამ, რომელმაც 112-ს აცნობა, რომ კულაშის საჯარო სკოლაში იყო ბომბი. ბავშვი არ არის ჩვენი სკოლის მოსწავლე. სკოლაში მოვიდა პოლიცია, (მე-4 გაკვეთილი სრულდებოდა) და სასწრაფოდ მოახდინეს მოსწავლეთა და პედაგოგთა ევაკუაცია. დაახლოებით 1 საათში ადგილზე გამოცხადდა გამწვანებელი ჯგუფი, მათ მოახდინეს ტერიტორიის და შენობა-ნაგებობათა სრული დათვალიერება. საბედნიეროდ, სკოლაში ბომბი არ აღმოჩნდა. სასწრაფო პროცესი, ბუნებრივად შეწყდა, მე-5 მე-6 გაკვეთილები არ ჩატარებულა.

სამუშაოების დასრულების შემდეგ სამართალდამცავებმა და გამწვანებლებმა დატოვეს ტერიტორია. საქმის გარემოებებს იძიებს პოლიცია. 1991 წლიდან აქ ვმუშაობ და მსგავსი რამ ჩვენს სკოლაში არ მომხდარა. საბედნიეროდ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა".

ნათია ნაცვლიძე

თოვლზე რაც უნდა გავხადოთ...

ბავაბაღის აღსაზრდელებსა და სოციალურად დაუცველ ოჯახებს არ შესცივდებათ. – განაცხადა "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში პანთეონის, სასაფლაოების, ტერიტორიის გამწვანებისა და სანერგე მუშაობების დირექტორმა, ბატონმა მერაბ დიდიძემ.

– 170 კუბური მეტრი სამუშაო მერქანი იქნა მოპოვებული ქარის მიერ წაქცეული, გადატეხილი, სასაფლაოებზე მოჭრილი ხეების დამუშავებით. ისინი დაიხერხა საღებავით და გადავეციე მუნიციპალიტეტის სკოლაში აღზრდის დაწესებულებებს.

ასევე, ადგილობრივი ხელისუფლებისა და შესაბამისი სამსახურის გადაწყვეტილებით, მიმდინარეობს სამუშაო მერქნის გადაცემა სოციალურად დაუცველ 39 ოჯახზე. – აღნიშნავს მერაბ დიდიძე.

გაერთიანების დირექტორისგან ისიც შევიტყვევით, რომ ქალაქის ოთხ და ჯვარცმის სასაფლაოზე მოხდა შემორაგვის (ღობები) განახლება. განახლდა ან შეკეთდა ბომბები, რაც გარდა იმისა, რომ ესთეტიკურია, დაცულია საფლაოები.

"სურვილი გვაქვს თერთმეტ სასაფლაოზე მცველ-მომვლელის შტატი დაუშვათ, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით, რაც ერთობ კარგი იქნება. – აღნიშნა მერაბ დიდიძემ.

დღეებია გვამორებს ზამთარს, თუმცა, თოვლმა რაც უნდა ბევრი ითოვოს, ჩვენს პატარებს არ შესცივდებათ.

ლევან ბაბუჩავა



ტაძრის წინ ბზები დაიხგო

მუნიციპალიტეტის გამგებობის და საკრებულოს თანამშრომლებმა ზაფხულში შეიძინეს ბზის ნერგები, რომლებიც ამჟამად წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის წინ დარგეს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგური:

"ეს გამწვანების აქცია ჩვენი ერთობლივი ინიციატივით მიმდინარეობს. საკრებულოს და გამგებობის თანამშრომლებმა ზაფხულში შეიძინეს ბზის ნერგები იანეთში. იქვე მოხდა მათი შენახვა, ველიდით შემოდგომის დადგომას, როცა ნერგების დარგვა გახდებოდა შესაძლებელი. სულ 50 ძირი ბზაა. ისინი ეკლესიის მიმდებარე დაირგება. ჩვენს გვერდით არიან ააპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანების წევრები. გვსურს, მეტი უფლება, პრივილეგია და საშუალება მივცეთ ამ ადამიანებს, რომ ამ კუთხით იმუშაონ და მთელი სამტრედიის გამწვანება შეძლონ".

ნათია ნაცვლიძე



თემა გაგზავნილი

გამაჩქრებასაც მიჩვეუა იუნდა

და სწორედ გამაჩქრებაზე მისაჩვენებლად, გიორგი ბრწყინვალე დღესასწაულზე სამტრედიის "ეტალონი" ჩამოვიდა. ეს სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტი, უკვე არაერთი წელია ქართული საზოგადოების მისადმი ინტერესს არ ანელებს. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც წიგნიერებასა და ინტელექტს ეძიებდა "ეტალონის" შემოქმედებითი ჯგუფი, რადგან, როგორც მისმა ორგანიზატორმა და ავტორმა, გოჩა ტყემელაშვილმა აღნიშნა, ... ძლიერი კი, მხოლოდ მცოდნე კაცია!" ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები, მორგებული ქართულ ცნობიერებაზე, ყველა "ეტალონიური" დღის ლაიტმოტივია.

სამტრედიის კულტურის სახლის დარბაზში უმასპინძლა დღესასწაულად ქცეულ ამ ღონისძიებას. გოჩა ტყემელაშვილის მისალომების შემდეგ მონიტორზე კადრებად გადიოდა, თუ რა ხდებოდა დედაქალაქის ქუჩებში და სპორტის სასახლეში ამ სახალხო ცქეული პროექტის 10 წლის იუბილეზე. პროექტის ორგანიზატორმა და წამყვანმა იმ ათასობით ხელმოწერაზეც ისაუბრა, რომელიც საქართველოს მასშტაბით სკოლების პედაგოგებმა, მოქალაქეებმა, იქამდე პარლამენტარებამაც შეაგროვეს მედიაპროექტის კვლავ საზოგადოებრივ მაუწყებელზე დაბრუნების მოთხოვნით. "არც იმის პრობლემაა, რომელიმე სხვა არხზე გამოავიჯონ საეთერო დრო, მაგრამ თუ ჩვენ სამართლებრივ სახელმწიფოს ვამყენებთ, ეს პროექტი საზოგადოებრივ, ანუ იმ არხზე უნდა გადიოდეს, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს." - აღნიშნა გოჩა ტყემელაშვილმა.

ბევრთად გარკვეს გართობაც უხდება და არც იმ დღეს აუღია ცეკვა-სიმღერა, მით უმეტეს, რომ მუსიკალური ნომერი, რომელიც მაყურებლის განსაკუთრებულ აპლოდისმენტებს დაიმსახურებდა, მისში ამ პროექტის ეგიდით გამართულ გრანდიოზულ სანახაობაზე კიდევ ერთხელ იტვირთავს საზოგადოების აღფრთოვანების ფუნქციას.

და რაც შეეხება 23 ნოემბერს სამტრედიის "ეტალონის" სტუმრობას, სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ "ეტალონის" შემოქმედებითი ჯგუფი, ინოვაციური პროექტის, "საქართველოს ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატს", ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს 2015-2016 წლის ეტალონი მოსწავლის გამოსავლენად. პროექტში საქართველოს 9 რეგიონი, რა თქმა უნდა, დედაქალაქი და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებია ჩართული. ეს კი, სულ 82 რეგიონს მოიცავს. ამჯერად



პირველი ეტაპი მიმდინარეობს, რაც ადგილზე, ცალკეულ ქალაქში თითო ეტალონი მოსწავლის გამოვლენას გულისხმობს. 21 მაისს კი, საუკეთესოები საუკეთესოთა შორის, სპორტის სასახლეში შეიფერებიან, საქართველოს 2015-2016 სასწავლო წლის ეტალონი მოსწავლის გამოსავლენად. და ეს საუკეთესო იმ 120 ათასი მოსწავლიდან იქნება შერჩეული, პროექტში რომ მიიღებს მონაწილეობას. მონაწილე მე-8-დან მე-12 კლასის ჩათვლით ყველა ის მოსწავლეა, ვისაც საკუთარი ცოდნის იმედი აქვს. პროექტის ორგანიზატორები ფიქრობენ, რომ იგი "დადებით გავლენას მოახდენს არამარტო ახალგაზრდებზე, არამედ მთელ საგანმანათლებლო სფეროზე. საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის მიზანია, ახალგაზრდების სწავლა-განათლებით კრეატიულად, თამაშითა და დინტერესება-მოტივირება; სახ-

ელმწიფოს მხრიდან განათლებული ახალგაზრდების მიმართ პერმანენტული და მიზანმიმართული მხარდაჭერა; რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებსა და პროექტის თანამოაზრეებს შორის კონტაქტების დამყარება; ეტალონი მოსწავლის გამოვლენა და მათი პედაგოგების, მშობლების წახალისება." - ამბობენ შემოქმედებითი ჯგუფის წევრები, როცა რეგიონებში მედიაპროექტის გასვლის იდეაზე საუბრობენ. მათი მხარდამჭერები ამ მეტად საჭირო საქმეში, რეგიონებსა და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობის დეპარტამენტის მეშვეობით საქართველოს მთავრობა, განათლებისა და მეცნიერების, აგრეთვე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროებია.

უშუალოდ ინტელექტ-თამაშის დაწყების წინ მხატვრული კოლექტივები დარბაზს დადებით მუხტს აძლევდნენ. წამყვანმა და პროექტის სულის ჩამდგმელ-

მა, გოჩა ტყემელაშვილმა, ყველასათვის საყვარელი ფრაზა, "ქართული პანგები ეკრანზე", მისთვის ჩვეული ქარიზმით წარმოსთქვა და სცენა ევროპული ტურნედან დიდი წარმატებით დაბრუნებულ ფოლკ-ჯგუფ "ლადას" დაუთმო. ხალხურ საკრავებზე შესრულებული სამი მუსიკალური ნომრის შემდეგ, მან ჯგუფის ხელმძღვანელი, ბეჟან გოგიაც სცენაზე იმბო. მხატვრულად გალატეონის "ქარი ქრის" მე-11 საჯარო სკოლის მეხუთეკლასელმა, ერეკლე ხუჭუამ, საფრანგეთში მოღვაწე სამტრედიელი პოეტის, ბაჩუკი ჩაბრახის ლექსი, "იესო ჩემში" კი, წმინდა ნაზარი ლეგავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მეხუთეკლასელმა, ოთარ შუბლაძემ წაიკითხეს. ღონისძიების ბოლოს კვლავ ფრაზა - "ქართული პანგები ეკრანზე" და სცენა ეროსი მანჯგალაძის კულტურის სახლთან არსებულმა ანსამბლმა "სამტრედი-

ამ" დაიპყრო "ქართულითა" და "ვაზბეგურით".

ამგვარი ლირიული გადახვევის შემდეგ, უკვე ყურს მიჩვეული მელიდით ინტელექტ-თამაშ "ეტალონის" სამტრედიელი ტურნი დაიწყო. მასში მუნიციპალიტეტის მასშტაბით თითქმის ყველა საჯარო სკოლის წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა 10, ხოლო მაქსიმალური მუნიციპალიტეტში სკოლების რაოდენობით განისაზღვრებოდა. თამაში, რომელშიც წამყვანმა დარბაზიც ჩართო, ორ ტურად გაიმართა. მასში მონაწილეთა 17 მოსწავლემ მიიღო. შედეგები საკმაოდ მაღალი გახლდათ და ორივე ტურის შემდეგ ყველაზე მაღალკლასიან ხუთ საუკეთესოში, პირველობა მე-8 საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელ ვიოლა გეგემიძეს ერგო. როგორც ცნობილია, ამ თამაშში სწორ პასუხებთან ერთად, განმსაზღვრელი მოფიქრების დროც გახლავთ.

"რეგიონებში გასვლა იმპროვიზაცია და ვიწყო, რომ სწორედ აქედან იკრებიება ნიჭიერებიც ინტელექტით, ასე იწყება ქართული ნიჭის შეგროვება. დამოუკიდებლობით, მოტივაცია ყველასა და ყველაფერს სჭირდება, მათ შორის ახალგაზრდებს გაორმაგებულად. ჩვენც მოტივაციას ვაძლევთ ამ ბავშვებს სწავლაში გამოჩენილი სიბეჯითისთვის. სწორედ ეს არის ხვალისდელი ძლიერი საქართველოს საწინდარი." - აღნიშნა გოჩა ტყემელაშვილმა და დასძინა, რომ 21 მაისს სპორტის სასახლეში გამართულ ფინალურ თამაშზე გამარჯვებული საქართველოს ეტალონი მოსწავლე 30 ათას ლარს მიიღებს საჩუქრად.

ფრაზა, რომელიც "ეტალონის" ღვეზიბა, გოჩა ტყემელაშვილმა იმ დღეს არაერთხელ გაიმეორა სცენიდან - გამარჯვებასაც მიჩვევა უნდა!

და თუ "ეტალონი" ახალგაზრდებს ცოდნით გამარჯვებას აჩვენებს, სამტრედიის მას 21 მაისს, სპორტის სასახლეში ვიოლა გეგემიძის გამარჯვებით მიიჩვენა!



"მერმისს, როცა ოქროსფრად კვლავ მოგიერთავთ ვინახებს..."

ნათობა ნაცვლით

№1 საჯარო სკოლის დიდი დარბაზი ქართული შემოდგომის მასპინძელია.

ინძობას იფერებს. არც საწინააღმდეგარეა, არც ქვაბი და შიგ მოთუხთუხე თათარა. მე-4 კლასელი გოგო-ბიჭები ქარვისფერ შემოდგო-

მას უმღერა, ლექსს უძღვნიან, მამულისა და ერთმანეთის სადღეგრძელოს ფაღალით სვამენ. აი, მისი უდიდებულესობა შემოდგომაც გამოჩნ-

და, ყვითელ კაბაში მორთული. პატარებმა მას პირობა მისცეს, რომ კარგი სწავლით მოიწონებენ თავს არა მარტო შემოდგომას, არამედ, წელიწადის ყოველ დღეს. შემოდგომამაც სიტყვა დაუგლო: "მერმისს, როცა ოქროსფრად კვლავ მოგიერთავთ ვენახებს, შემდგომ კლასში ათებით გადასული მენახეთ". საინტერესო იუმორისტული ნომრითაც წარსდგნენ პატარები აუდიტორიის წინაშე.

ეს პატარები დაწყებითების პედაგოგ ქეთევან შავლაყაძის აღსაზრდელები არიან. მათ შესანიშნავი ქორეოგრაფიული და მუსიკალური ნომრებითაც მოგვაწონეს თავი. მუსიკის პედაგოგ სოფო ახობაძისა და ქორეოგრაფი ფორიკო პაქსაშვილის დახმარებით, საინტერესო და ლამაზი სანახაობა მოგვიწვევს. შესრულდა რუსუდან სეზისკვარაძის, ვახტანგ კახიძის, ინოლა გურგულიას სიმღერები. იცეკვებს აჭარული, ქართული და იმერული ფერხული. რევან ლალიძის უკვდავ მელიდიას, "ვაზო, ქალწულო, დაღალ დაწულო" ორიგინალური გადაწყვეტით საცეკ-

ვო ნომერი მოარგეს. ღონისძიება დაწყებითების კათედრის გამგემ, ქეთევან როზვაძემ და სკოლის დირექტორმა, ხათუნა ფაილაძემ დადებითად შეაფასეს.

ხათუნა ფაილაძე: "ქეთინო მასწავლებლისგან განებვირებული ვართ ლამაზი, შინაარსიანი, ტრადიციული ელემენტებით დატვირთული, ნამდვილი ქართული სულისა და გულის მქონე ღონისძიებებით. დიდი მადლობა ამ ბავშვებს ასე ლამაზად რომ განაზრციელებს მასწავლებლის ჩანაფიქრი. ისინი მეოთხე კლასს ამთავრებენ და გამორჩეულად მინდა ვუსურვო მომავალი წარმატებები უფრო მაღალ საფეხურზე. განსაკუთრებული მადლობა სოფიო ახობაძეს და ფორიკო პაქსაშვილს. მინდა, ორიოდ თბილი სიტყვა ვთქვა ფორიკოზე, რომელიც 2 წელია, რაც ჩვენს სკოლაშია და ხარისხიანი ქორეოგრაფიული ხელწერა უკვე დაატყო სკოლას. მადლობა დაწყებითების კათედრას ასეთი საინტერესო მუშაობისთვის".



პედაგოგთა ღვაწლი პროექტმა ნიგნით უხვდავყო

ნათია ნაცვლიძე

ნიგნით უხვდავყო პროექტის ღვაწლი, პროექტმა თემურ ჯულაყიძემ, მე-3 საჯარო სკოლის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით შექმნილი მისი ახალი წიგნის პრეზენტაცია სკოლაგანთა დარბაზში მოაწყო. უამრავი თბილისელი სტუმარი იმ დღისთვის პედაგოგებზე, სკოლას თათბერზე რომ აღუწარდეს და უკვე ბევრი მათგანი ღვაწლის სკოლასთანაც კი ასოცირდება.

საღამო თემურ ჯულაყიძის ბეჭდვით, პროექტ თამარ რაზმაძეს მიჰყავდა. გამომსვლელები მადლობას უხდებოდნენ წიგნის ავტორს გაწეული შრომისათვის და ერთხმად აღიარებდნენ ამ სკოლის ღირსეული პედაგოგების ღვაწლს.

სკოლის პირველი გამოშვება ქალბატონი პარიეტა რუსია. მან მოკრძალებული იდეა გამოიტყვა, სკოლას მიენიჭოს მისი პირველი დირექტორის, დავით გახვიძის სახელი, რომელმაც, მისივე თქმით, დიდი წვლილი შეიტანა როგორც სკოლის დაარსებაში, ისე მის განვითარებაში.

კულტურის დეპარტამენტის მუშაკმა, ალექსანდრე ლეჟავამ სამაგიერო წიგნი უწოდა თემურაზ ჯულაყიძის წიგნს და ავტორს წარმატებები უსურვა. ფრანგული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, გულგო გოგაბერიძე მისაძლამ წიგნის გამოსვლას, როგორც კულტურულ მოვლენას და ავტორს მადლობა გადაუხადა.

სკოლის ყოფილი დირექტორის,

სულიკო ნინუას ქალიშვილმა, ქალბატონმა თამილამ გაიხსენა, რომ დაუმასხურებლად გაუშვეს სკოლიდან დირექტორი, დავით გახვიძე, რომლის მოღვაწეობას “ოქროს ხანა” მიიჩნევენ. მიზეზი სასაცილო ყოფილა: ბევრი ოქროს მედალი გასც-



აო. მომდევნო დირექტორმა, სულიკო ნინუამ კი დაამატა კიდევ ერთი ოქროს მედალი, რადგან როინ ნადირაძე მედიის დირექტორი კანდიდატი იყო.

ისევე როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გულწრფელი იყო თავის გამოხატვაში ჩვენი კოლეგა, “სამტრედიის მაცნე” პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა. “რაკი ეს წიგნიც სხვათა მსგავსად ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთგვარ ისტორიად დარჩება, ვიქაროთ ნელა” – ურჩია მან მწერალს და წიგნის არაერთ ღირსებას გაუსვა ხაზი. “სხვა რომ არ დაეწერა, თემურ ჯულაყიძეს, მის მწერლურ ღირსებად შინდისის გმირებისადმი მიძღვნილი მისი წიგნიც იმარებდა”. – აღნიშნა გამომსვლელმა, რომელსაც პროექტთან 30 წლიანი მეგობრობა აკავშირებს. მან ასევე, ისურვა, რომ მომავალში მეტი ყურადღება გამახვილდეს ნადირევა გარდაცვლილ ნიჭიერ ახალგაზრდაზე, ვალერი ნინუაზე, რომელსაც 22 წლის ასაკში უკვე ჰქონდა დაპატენტებული 2 ადგილიანი საფ-

რნი აპარატების ნიმუშები. დღეს უკვე მისი გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ ეს იდეა განხორციელებადია.

მადლობა გადაუხადა თავის ყოფილ პედაგოგებს თემურ ჯულაყიძემ. მათ შორის, მისი ქების ერთ-

თოლა ჩიქობავამ, ბატონმა რეზო დიდიამ, პროფესორ ამირან ნიკოლეიშვილის სახელით წიგნის ავტორს მისი შვილიშვილი, გვანცა მადლაკელიძე მისაძლამ. “არ დარჩენილა საქართველოს უახლეს ისტორიაში აქტუალური

მოვლენა და თარიღი, თემურ ჯულაყიძე რომ არ გამოხმაურებოდა. მეგობარს განსაცდელში არ მიატოვებ, დაუდგრომელი ხარ, განათლების ქომბაგი ხარ და მადლობა ამისთვის”. – მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ მწერალს.

“წიგნის წაუკითხავად მოვედი პრეზენტაციაზე,

მაგრამ უკვე ყველაფერი ითქვა. მიხდა ხაზი გაუესვა ავტორის ნიჭიერებასა და შრომისმოყვარეობას”. – განაცხადა დეპუტატმა გიორგი კახ-



იანმა და აღნიშნა, რომ კეთილი შურით შურს ავტორის, რომელმაც მოკლე ხანში დაასრულა სქელტანიან წიგნზე მუშაობა.

საკრებულის თავმჯდომარემ ნუგზარ ჯამბურამ მადლობა გადაუხადა წიგნის ავტორს იმის გამო, რომ



ღირსეულად გადაუხადა ხარკი პედაგოგთა ხსოვნას. “ჩემი ყოფილი სკოლა, მკურნალის სახელობის სკოლა 120 წლის იუბილარია, იქნება მასწავლებლებსა და მწერლებს შორის მისი დასრულა გამოსვლა ბატონმა ნუგზარმა.

კომპოზიტორ მზია ჯინჭველამ ვილის მიერ თემურ ჯულაყიძის ლექსზე შექმნილი სიმღერა “ღვთისმშობელი მარიამ” პატარა ელენორა ესებუამ შეასრულა, აპლოდისმენტებიც დაიმსახურა. სკოლის ამჟამინდელმა დირექტორმა ვენერა ივანიშვილმა აღნიშნა: “პატივია ვიყო იმ სკოლის დირექტორი, რომელსაც ასეთი ღირსეული პედაგოგიური კოლექტივი ჰყავს”. მან მადლობა გადაუხადა ავტორს, კიდევ ერთხელ გაიხსენა არა მარტო პედაგოგები, არამედ სკოლის უამრავი ღირსეული კურსდამთავრებული და ერთ-ერთ მათგანს, ეკატერინე ზველეიძეს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მძიმე წლებში სკოლისადმი უდიდესი მხარდაჭერის გაწევის გამო.

ბუნების ნიაღვის საუკეთესო მცოდნენი

ნათია ნაცვლიძე

თემა “ტყე და ტყის ბინადარი”. შთაბეჭდვად გამოიყურებან, ფოტოები ტანსაცმელზეც, თმებზეც, ჰერბარიუმად შეკინძულიც. პირველი საჯარო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეები და მათი დამრიგებელი ლია კაკულია, არაერთ საინტერესო ღია გაკვეთლზე გვეპატივებინან. ამჯერადაც ღამაში სამყაროში აღმოჩნდით. ბავშვები გუნდებად დაიყვნენ, შერეული, ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყის გუნდებად. ულამაზესი მაკეტი, სადაც ტყის სამივე სახეობა იყო წარმოდგენილი, მშობლების დახმარებით შექმნეს. თავად კი ჰერბარიუმები მოამზადეს და წარმოადგინეს საინტერესო ფოტომასალა.

ღია მასწავლებლის დავალება – ინტერნეტით თუ სახელმძღვანელოებში მოიძებნათ საინტერესო მასალები ქართული ფლორისა და ფაუნის შესახებ, ბავშვებმა ბრწყინვალედ შეასრულეს. დამსწრეთაც ბევრი საინტერესო შეიტყვეს ამ გაკვეთილით. თურმე მგლები მხოლოდ ერთ-



თხელ წყვილებიან და სიცოცხლის ბოლომდე ერთმანეთის ერთგულნი რჩებიან. ბუნება ღამაში რომ არ იყოს, ის შესწავლის ღირსი არ იქნებოდაო, ჰოდა, კარგად გაეცნენ ცნობებს მალის, სპილოს, მერცხლის, გუგულის, მგნოლის, ნაძვის, ცაცხვის ხეების შესახებ. მერე საკლასო ოთახში, ქოთანში მუხის ხე

ჩარგეს. როგორც აღნიშნეს, პირობები მუხის იმიტომ მიენიჭა, რომ იგი სიმბოლოა ქედურული საქართველოსი. პატარებმა პირობაც დაგვიდეს, რომ განათვლზე სკოლის ეზოს ახალი ნარგავებით შეამკობენ. საინტერესო ვიდეოკადრები მოამზადა მშობლის დახმარებით მარიამ ჯანაშიამ, რომლითაც კურორტ “სა-



მტრედის” ეზოში გვამოგზავრა. აქ ხომ უამრავი სახეობის ხეა. თითოეულ მათგანზე საინტერესო ისტორია მოგვითხრო ამ მოსწავლემ. პატარები და პედაგოგი დროებით დაგვეშვიდობნენ და პირობა დადეს, რომ უახლეს ხანში ბუნებაში გვიმასპინძლებდნენ. სკოლის დირექტორმა, ხათუნა

ფაილაძემ, სასწავლო ნაწილის გამგემ ციური ზურცილაძემ, დაწყებითების კათედრის გამგემ ქეთევან როზვაძემ, პედაგოგებმა: ნატო წიქვაძემ, ნანა კუკანიამ და ნათელა ჯანჯალიამ, მადალი შეფასება მისცეს გაკვეთილს და გამოცდილ პედაგოგს წარმატებები უსურვეს.

რატომ იმსა რეპეტიტორობა მოდოდ?

ნათია ნაცვლიძე

ჩვენი რესპონდენტი ისეთივე წარმატებული პედაგოგი, როგორც წარმატებული რესპონდენტიც. დრომ მოიტანა საჭიროება, ასე გაძლიერებულიყო კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტი. ბატონი მურთაზ კალაძეც, დღევანდელი წარმატებული პედაგოგი, ბევრი სხვა პედაგოგის მსგავსად საბჭოთა სკოლის პროდუქტია და შესანიშნავი ნიმუში იმისა, როგორ შეიძლება ურეპეტიტოროდ, მხოლოდ სკოლის კედლებში მიიღო საჭირო ცოდნა და იქვე წარმატებულ კადრად. რა ხდება, რატომ მივდივართ კერძო პედაგოგებს, რატომ დარბიან ჩვენი ჯერ კიდევ დაბალი კლასებში მყოფი შეილები მასწავლებლიდან მასწავლებელთან, შეიძლება თუ არა, სასკოლო სივრცეში მიიღონ მონაწილეობა ცოდნა ისე, რომ მშობლებმა კიდევ დამატებითი თანხა არ გადაიხადონ? ბოლოს და ბოლოს, ხომ არიან ღირსეული მასწავლებლები, თავიანთი გაკვეთილზე რომ იხარჯებიან და გადასცემენ ცოდნას მონაწილეებს? ეს კითხვები დღეს ბევრ მშობელს აწვავს. ბატონი მურთაზ კალაძე, მე-12 საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი, ჩვენს შეკითხვებს პასუხობს:

– ბატონო მურთაზ, დამკვიდრდა სტერეოტიპი – თუ ემზადები, კარგი და წარმატებული მოსწავლე ხარ. რატომღაც ნიჭიერება და პროგრესულობა დღეს ასოცირდება კარგი რეპეტიტორის ყოფასთან. ალბათ, ამ კითხვებზე თქვენც ბევრჯერ გიფიქრიათ. გვევლინებათ მაღალი კლასებში მონაწილეობაც, რომლებიც არ დადიან მასწავლებელთან, (თქვენთან თუ სხვაგან), მაგრამ კარგად სწავლობენ საგანს...

– მართალია, რეპეტიტორობა უკვე იქცა მოდად: ყველა ემზადება და მეც უნდა მოვემზადო! არჩევან რეპეტიტორებს. ყველა რეპეტიტორი მასწავლებელია. ნებისმიერ სკოლას ვიცნობ ჩვენს მუნიციპალიტეტში. დღესდღეობით ყველა სკოლას ჰყავს მასწავლებელთა კონტინგენტი, რომელთაც შეუძლიათ ნებისმიერი მონაწილე და აბიტურიენტი მოამზადონ ისე, რომ მათ უმაღლეს სასწავლებლებში ჩააბარონ. არ ვილაპარაკებ მხოლოდ ჩემს სკოლაზე და მას არ გავუწევ რეკლამას. მთავარი პრობლემა ჩემი აზრით არის: 1. სახელმძღვანელო. 2. მათე კლასის ზემოთ არ უნდა გადაიდოს ყველა მოსწავლე. ასეთია ჩემი პირადი აზრი. ასევე, სკოლას უნდა მოეხსნას გაუჩერებლობა. ჩემს კლასში ოცნი ვიყავით, მაგრამ ინსტიტუტში 5-მა ჩაებაარეთ. განა ცუდი ბავშვები იყვნენ, უბრალოდ, არ ჰქონდათ სურვილი ან პროფექტუალურობა აბარებდნენ, ან სხვა სასწავლებელში. მშობლის შეგებაში უნდა მოხდეს გარდატეხა და დიპლომანის სიყვარული უნდა მოისპოს. ძმისშვილი მყავს, თუკი არ ისწავლის, აუცილებლად გაიყვან მე-9 კლასიდან და 3 წლის განმავლობაში შეისწავლის ხელობას. ისევე კითხვას დავუბრუნებდი, არ

იან თუ არა სკოლაში კარგი მოსწავლეები, რომლებიც კერძო პედაგოგთან არ დადიან? დიახ, ჩვენს სკოლაში რამდენიმეა ამის მაგალითი. მყავდნენ მოსწავლეები, რომელნიც არ მომზადებულან საატესტატო გამოცდებისთვის, მაგრამ იმავე მაღალი ქულები მიიღეს, ვიდრე იმთ, ვინც ემზადებოდა. მოსწავლეს, რომელიც გაკვეთილს არ აცდენს და სკოლაში დადის, ეტყობა კიდევ, რომ მცოდნეა.

– ურთულესი საგნის სპეციალისტი ბრძანდებით, მათემატიკას სხვა ბუნებრივი ნიჭი სჭირდება. ამ საგანში რომ მოსწავლეები მოიხილოთ, საგანი რომ აღვიღად აღსაქმელი გახადოთ მათთვის და შეაყვაროთ იგი ბავშვებს, ალბათ თქვენეული მეთოდების შემუშავება გჭირდებათ...

– არც არის საკვლევლო, ყველა იყოს ძლიერი მათემატიკოსი. მოსწავლეებს არასოდეს ვახარისხებ და ვაფასებ კრიტერიუმით, იცის თუ არა მან მათემატიკა. ელემენტარული, რაც ცხოვრებაში სჭირდება, ყველამ იცის. არაა საკვლევლო, ყველამ იცოდეს ფუნდამენტური მეცნიერების დონეზე. ერთი, რომ შემიძლია ვთქვა: ჩვენს სკოლაში მათემატიკის სწავლება იმ დონეზეა, მოსწავლეს შეუძლია იგი უმაღლეს სასწავლებელში ჩააბაროს. მყავს მოსწავლე, რომელსაც დღეს მასწავლებელი ჰყავს, მაგრამ ჩემი მოსწავლეცაა. ის ბრწყინვალეა. უბრალოდ, კვირაში ერთხელ შეიძლება მოვიდეს, მაგრამ იმაზე მეტს გააკეთებს, ვიდრე მთელი კვირა სიარულით აკეთებს სხვა ვინმე.

– ასეთი განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბევრი მოსწავლე გყავთ?

– ძალიან ბევრი.

– რამ მოიტანა იმის საჭიროება, რეპეტიტორობა დაგეწყო?

– უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, თან ასპირანტურაში ვსწავლობდი, თან მოსწავლეებს ვამზადებდი. მეურ დავიწყე მე-12 სკოლაში მუშაობა. ნამდვილად არ ვაპირებ არსად წავსვლას ისეთი სასიამოვნო ჩემთვის ეს საქმე. არ მდლის. ხვალ ლატარიაში მიიღონ რომ მოვიგო, ჩემს საქმეს მაინც გავაკეთებ.

– თავის საქმეში წარმატებული ადამიანი ყოველთვის იზიდავს პოლიტიკოსებს. წარმატებული ექიმები, პედაგოგები არიან პოლიტიკოსთა საუკეთესო სამიზნეები. ისინი იმიჯის გამსუფთავებლის ფუნქციასაც ასრულებენ საარჩევნო პერიოდში. რამდენად დაცული იქნებოდა ასეთი საცდურისგან, ხომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე პოლიტიკურ ბანაკში აღმოჩნდეთ. უახლეს წარსულში გვეხსენება მსგავსი მაგალითი, მაგრამ ბატონი მურთაზ კალაძე, საერთოდ განვირავს პოლიტიკას...

– ძალიან ვული დამწყდა იმაზე, ის რომ წავიდა სამტრედიიდან. ის არის საკმაოდ ძლიერი, კარგი და გაცინასწორებული პიროვნება და სპეციალისტი. ის დღეს კომაროვის სკოლაშია. პირადად მე საეხსები გამოვრიცხავ, რომ პოლიტიკური თანამდებობა დაეკავო.

– მკაცრი მასწავლებელი ხართ თუ ლიბერალი? თითქოსდა, თქვენს საგანს არ უხდება ლიბერალიზმი, ერთი წესიც რომ გამოტოვო, ირღვევა ჯაჭვის მთლიანობა...

– დიახ, თუ ერთი რგოლიც ამოვარდა, მეურ ჯაჭვის მთლიანობა ირღვევა. ცუდად არ გამიგონ ფილოლოგებმა, შე-

იძლება მოსწავლემ არ ისწავლოს აკაკი, მაგრამ ისწავლოს ვაჟას, გალაკტიონს. მათემატიკაში თუ რამდენიმე რგოლი გაწყდა, მათი აღდგენა თუ არ მოხდა, მოსწავლე ვერ დაეწევა საგანს, თუ, რა თქმა უნდა, მასწავლებელი მას არ აღადგენს. მჯერა, ყველა მასწავლებელი აღადგენს გაცდენილ სათბებს. სიმკაცრეს რაც შეეხება: ვერცერთი მოსწავლე ვერ გეტყვის, მასწავლებელმა მიყვირა, ზედმეტად ხმას აუწერა. შენიშვნაც მიმიცია, ცუდი ნიშანიც დამიწერია, მობილური ტელეფონებიც წამირთმევია. არ ყოფილა შემთხვევა, გაკვეთილზე ჩემი ტე-



ლფონის ვიბრაციის ხმაც კი გაეგოს ვინმეს. დესპოტი ვარ-თქო, ვერ ვიტყვი, მაგრამ წესრიგს მოსწავლისაგან მოვითხოვ.

– თანამედროვე სკოლა მამაკაცი პედაგოგების დეფიციტს განიცდის. ამ ფონზე განსაკუთრებულად სასიამოვნოა, როცა სკოლაში არის კაცი მათემატიკის მასწავლებელი. არის პროფესიები, რომლებიც საერთოდ არ არის დღეს პრესტიჟული, მაგალითად ფიზიკის ძველი თაობის მასწავლებელთა თქმით, ამ საგანს მალე არ ეფიქრება ახალი კადრი. როგორია სტატუსი, სურს კი ვინმეს მათემატიკის პედაგოგობა?

– ყოველწლიურად ვეზმარები მოსწავლეებს რეგისტრაციის პროცესში, ანუ უნივერსიტეტების არჩევაში. შარშან დედაქალაქში ბევრი აბიტურიენტი გარეთ დარჩა, სამტრედიიში არ მომხდარა მსგავსი რამ, გარეთ არავინ დარჩენილა. ეტყობა, სტუდენტების ახირება იყო, ჩაწერეს ორი-სამი უნივერსიტეტი და შემდეგ მოუნდათ ის მაღალგასიანი სასწავლებლები. საიმიჯებით უურჩევ როგორც ჩემს მოსწავლეებს, ისე სხვებს, ქვეყანაში იმდენი ეკონომისტი და ბიზნისტი გვაყავს, მინიმუმ 10 წელი ჩვენი ქალაქიდან ეკონომისტი და ბიზნისტი რომ არ გაგვგზავნოთ, დეფიციტს ქალაქი არ განიცდის. ხშირად უურჩევ გოგონებს, სასურველ ფაკულტეტებზე ჩაწერონ ფილოლოგიური ან დაწვებითები. ქვეყანაში არის დაწვებითების პედაგოგის დეფიციტი ისევე, როგორც ფიზიკის პედაგოგების. ეს სფერო გადასახალისებელია. დაწვებითი კლასები არის სკოლის სამჭედლო. აქედან იწყება ყველაფერი. მყოფია მე-5 კლასები, რომელთაც ძა-

ლიან კარგი ბაზა ჰქონიათ. ყველაზე ცუდია ის, რომ არავინ ირჩევს დაწვებით ფაკულტეტს, არადა, 6-7 წლის ბავშვი დაწვებითის მასწავლებელს აღიქვამს საკუთარ მშობლად. უნდა, რომ მასაც პედაგოგს ახალგაზრდა, ლამაზი, მომხიბვლელი დაწვებითების მასწავლებელი. სამტრედიიში იშვიათია სკოლა, სადაც არიან ახალგაზრდა დაწვებითების პედაგოგები. ხელისუფლებამ ტექნიკურ ფაკულტეტებზე უფასო სწავლება დაუშვა. ამ ფუნქციის მიუხედავად, აბიტურიენტებს მაინც ნაკლებად სურთ მომავალ პროფესიად ფიზიკა-მათემატიკის არჩევა.

– თქვენ ახლა შესანიშნავად დაახასიათეთ უფროსი თაობის მათემატიკოსი. ვფიქრობ, განათლებას ასაკი არა აქვს. შეიძლება ასეთი “ბრენდად ქცეული” პედაგოგებიც მოძველდნენ, ჩამორჩნენ ახალ მეთოდებს. შეიძლება თუ არა, ოდესმე რომელიმე მათგანს ვაგვიგაუგოთ? რა უნდა გააკეთოს პედაგოგმა რომ არ გავიდეს მოდიან?

– სხვათა შორის, მყავდა ზოოლოგიის ასაკოვანი მასწავლებელი შურა ხუჭუა. ის 80 წლის იყო. ასწავლიდა მამანქმს და მის უფროს თაობასაც. 1994 წელს დავამთავრე მე-8 საშუალო სკოლა. ამ პედაგოგს ჰქონდა იდეალური დისციპლინა, უმაღლეს დონეზე იცოდა საგანი. ერთ კითხვას დასვამდა და გაიგებდა, ვინ როგორ იცო-

დოსიე:
1994 წელს დაამთავრა მე-8 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1998 წელს. შემდეგ მოინახა სამხედრო სამსახური, მსახურობდა შინაგან ჯარში. 2001-2003 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში. 2 წელი კერძო რეპეტიტორი იყო, 2006 წელს კი მე-12 საჯარო სკოლაში დაიწყო მუშაობა და დღემდე მუშაობს. არის დაამთავრებული კლასების პედაგოგი.

და გაკვეთილი. ის იყო ჩემთვის ეტალონი. ბევრი მისწავლია, როგორც ჩემი პედაგოგებისგან, ისე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისგან, ვსწავლობ დღესაც. ნებისმიერ მასწავლებელს სჭირდება ცოდნის გაღრმავება. ყოველთვის ვსწავლობთ. არ მრცხვენია, რომ ვისწავლო ვიღაცისგან. ჩემზე უმცროს თაობას, იგივე ჩემს აბიტურიენტებს, ტექნიკასთან აქვთ ხშირი შეხება. ამიტომ, არ მრცხვენია, ამ საკითხებში მათ რჩევა ვკითხო. მათ ჩემზე მეტი იცინა, მაგრამ ეს არც ბარბერს არღვევს, არც ჩემს თავმოყვარეობას ლახავს. რაც შეეხება სიბერეს, ამ თემზე მეც მიფიქრია, როცა შევატყობ, კლასზე კონტროლს ვერ დავამყარებ და ვიგრძნობ, რომ ავტორიტეტი აღარ მაქვს, უსათუოდ წავალ სკოლიდან და ახალგაზრდებს დაუვითომებ ვხას. მეც დამითმეს გზა, შანსი მომიცეს, გაუუმართლე ჩემს დირექტორს იმედები, იგივე გააკეთონ სხვებმაც.

– თქვენი საუბრიდან გამომდინარე, მრჩება შთაბეჭდილება, მხოლოდ მათემატიკური სახელმძღვანელოებით არ იფარგლება თქვენი ინტერესის სფერო, ის გაცილებით ფართოა. გიყვართ მხატვრული ლიტერატურა?..

– მწირი დრო მაქვს, თუმცა, საიმიჯებით კითხულობ კლასიკოსების წიგნებს, გამორჩეულად მიყვარს ტოლსტოი, ასევე ვეცნობი მართლმადიდებლურ ლიტერატურას. საპატრიარქოს ტელევიზიით ვუყურებ რელიგიურ გადაცემებს, ვყიდულობ წიგნებს. ადამიანი სულ განვითარების და შემეცნებისაკენ მიდის. მიყვარს ფსიქოლოგიური წიგნების კითხვა. ვარ მამა ანტონის სულიერი შვილი

და უდიდესი პატივს ვცემ მას.
– ზოგადი უნარები ახალი ხილია ჩვენს სინამდვილეში. რამდენად კარგად და წარმატებულად აუღო ალღო ახალმა თაობამ ამ საგანს?

– ძალიან კარგად აუღეს ალღო. ისინი შესანიშნავად გადაერთვნენ ახალ მხროვნებებზე. ხშირად ამიხსნია 2-3 შესაძლო გზა, მოსწავლეს კი კრეატიული აზროვნება გამოუვლენია და სხვა გზა დაუსახელებია. მყავდა მოსწავლე, რომელმაც 100%-იანი გრანტი მოიპოვა. უნარებში აიღო მაღალი ქულა, ესაა თამარ ბიბილაშვილი. იმ ბავშვებმა, რომლებმაც თავის დროზე 100%-იანი გრანტი მოიპოვეს, სამაგისტრო გამოცდებზე ბრწყინვალედ ჩააბარეს.

– თუ ხართ იმდენად მოუხიბლავი მსაჯული, რომ ნაცნობ-მეგობრების ან პედაგოგების შევილებს ნიშანი არ “აწუქოთ”?

– მქონდა შემთხვევა, მოსწავლემ, რომელიც აბიტურიენტი იყო, უარი განმიცხადა, ტესტირებაზე არ გაველ, მემინიაო. არავითარ შემთხვევაში არ დავთმე. მას ის სჭირდება! მეც ვყოფილვარ მათი თაობის, მეც გამიცდენია გაკვეთილი და სამწუხაროდ, გამხარებინა. რაც შეეხება მოსწავლეს, ჩემთვის გაკვეთილზე ყველა მოსწავლე მოსწავლეა. მაგალითად, მე-12 კლასში გაკვეთილზე მიზის ორი მასწავლებლის შვილი, ბექა სულაქველიძე და შოთა ხაფავა. ვერცერთი მათგანი ვერ იტყვის, რომ პრივილეგიურულ მდგომარეობაში

ჩაყავნე.
– ზოგად უნარებში მოუზადებლად შეუძლია მოსწავლეს უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება?

– ქუთაისის რამდენიმე სკოლაში, კერძო სკოლაშიც ზოგადი უნარები ისწავლება. რადგან გამოცდებზე ეს საგანი ბარდება, ის სკოლაში უნდა ისწავლებოდეს. თუ არ ვასწავლით, რა ქნას ბავშვმა? გამოწვლისგან არიან ისეთი მოსწავლეები, თავისით დასხდნენ და გადახედონ ამ საგანს. მქონდა შარშან ასეთი შემთხვევა, მოსწავლე დაჯდა, მოემზადა ამ საგანში თავისით და ჩააბარა კიდევ, საკმაოდ მაღალი ქულაც მიიღო.

– სკოლაში, სადაც თქვენ ასწავლით არის თქვენივე საგნის საუკეთესო პედაგოგი. ერთი პროფესიის ადამიანებს შორის ძალიან ხშირად კონფლიქტია არაჯანსაღ და არასასურველ ფორმას იღებს. თქვენთვის არის თუა არა კომფორტი და ფუნქციონირება საუკეთესო კოლეგასთან ერთად ერთ სკოლაში მუშაობა?

– ელზა მასწავლებელს დავახასიათებ, როგორც იდეალურ ადამიანს. არასოდეს გამივლია გულში შური, ბოღმა... ჩემთვის ელზა მასწავლებელი არის მონდომების, პროფესიონალიზმის, ზრდილობის ეტალონი. რაც სკოლაში მოვედი, მას მეურ ვემეგობრობ. ჯერ მისი მეუღლე, მიმივი მასწავლებელი გავიცანი, შემდეგ ელზა მასწავლებელი. ის არის დიდებული პიროვნება. ჩემთვის მისაბაძი პედაგოგი. ნებისმიერ ადამიანს და პროფესიონალს არათუ აყენებს, პირიქით, ღირსებას მატებს სხვისი ნიჭის, განათლების და ღირსების აღიარება.

მხე ჩასვლის შემდეგ მხაიობა რჩება

ლიპან გაბრიელი

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი, სამუშაოდ სოფელ დიდი ჯიხაიშის ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის სკოლაში გამამწესეს ახალგაზრდულ ორგანიზაციითა ხელმძღვანელოდა. ჩემი ყურადღება მიწახიზნა, ცადაზიდულ ნაძვებში ჩაფლულმა ძველისძველმა ხის სკოლის შენობამ მიიბერა.

აგვისტოს მზე დედადამიწას ცეცხლს უკიდებდა და ქოში შესული აშკარა შეგებას იგრძობდი.

მომავე კოლეგებს გავეცანი. დავაწვდილობა პედაგოგებმა, სკოლის ყოფილმა დირექტორმა, ომისა და შრომის ვეტერანმა ვეგენი ჯიქიძემ, ყოფილმა სასწავლო ნაწილის გამგემ, გოგუცა კობრეიძემ, სკოლის ისტორია გამაცნეს.

მეექვსე, თუ მეშვიდე კლასში ვიქნებოდით, როცა სკოლის დირექტორმა იასონ შონვაძემ ეს ნაძვები დაგვარგვევინა, თითოეული ძირი მოსაველად მოსწავლეებს გაგვიპაროვნა და აი, წლებების შემდეგ ასე გამოიყურებოდნენ ერთ დროს პატარა ნერგები, მიხრა ქალბატონმა გოგუცამ და განაგრძო, რომ ბატონი იასონი ომში წავიდა, ერთხანს წერილებიც მოდიოდა, მერე კი... მწუხარებით იგონებდა ის ყოფილი დირექტორს.

...ვიდრე ჩვენს სკოლაში მოიყვანდნენ დირექტორად, სხვა სკოლებშიც იყო ხელმძღვანელი იასონი. კულტურული, მოწესრიგებული კაცი გახლდათ, ომში დაიღუპა საწყალი. საუბარი ბატონმა ვე-

გენ ჯიქიძემ განაგრძო. კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს, ერთი საამქვეფნო, მეორე კი, იქ წასაღებო, ღალადებს ძველი სიბრძნე. ბატონ იასონს ნამდვილად ჰქონდა ორი სახელი, კაცური კაცის ცხოვრებით იცხოვრა ამ ქვეყნად და მისი არყოფნის შემდეგაც გაიუკვდავა თავი მისივე მოღვაწეობით.

1903 წლის აპრილში დაიბადა ბატონი იასონ შონვაძე. მისი დროისათვის შესაფერისი განათლება მიიღო.

ის, რომ მაშინ, როცა ქვეყანაში მრავლად იყვნენ წერა-კითხვის უცოდინარნი, ხოლო საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს (სამინისტროს) წარმატებული დირექტორი სკოლიდან სკოლაში გადაჰყავდა ხელმძღვანელად, ბევრის, ძალზე ბევრის მოქმედა.

1927 წელს, სრულიად ახალგაზრდა იასონი ტაშისკარის სკოლის დირექტორად ინიშნება. მალე შეიყვარა სოფელმა, კოლეგებმა, მოსწავლეებმა სკოლის ნიჭიერი თავაკაცი.

1931 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ დაბლა გომში გადმოჰყავთ სკოლის დირექტორად. თბილად დამშვიდობებანი ძვირფასი კოლეგასა და ხელმძღვანელს ტაშისკარელები.

1934-1935 სასწავლო წლებში ი. შონვაძე დიდი ჯიხაიშის ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის სკოლას უდგება სათავეში და მდიდარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას უშურველად ახმარს დიდ ჯიხაიშელი პატარების სწავლა-აღზრდის საქმეს.

მხოლოდ ეზოს გამწვანების გამო როდი იხსენებდნენ ყაზბეგელები ბატონ იასონს.

ყაზბეგის სკოლაში, სადაც 25 წელზე მეტი ვიმუშავე პედაგოგად, (ეს წლები ჩემი ცხოვრების უძვირფასესი, და-

უვიწყარი პერიოდი ლ.გ.) 2007 წლამდე, სკოლის ახალი შენობის აგებამდე, სამასწავლებლოში მაგიდაზე იდგა ხის



საფანქრე – საკალმე, რომელზეც ამოტყავთ იყო 1936. როცა დაინტერესდით ნიჭით სიძველით, ქალბატონმა გოგუცა კობრეიძემ მიიხრა: იასონ შონვაძის დროს სკოლაში განსაკუთრებით მაღლა იდგა ტექნიკური საგნების სწავლება. ეს საფანქრე სკოლის სახელოსნოში ბავშვების მიერაა დამზადებული. იგი დღემდე შემორჩენილი ერთადერთი ნიჭითა იმ მრავალთაგან, რომლებიც რაიონის მაშინდელი განათლების განყოფილების გადაწყვეტილებით, მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მდღევანეთა საერთო, საკავშირო გამოფენის მოსწავლეთა პავილიონში გაიგზავნა და სკოლამ ამისათვის საბატიო

სივლი დაიმსახურა. ერთი სიტყვით, ყაზბეგის სკოლაში მუშაობისას არაერთხელ მსმენია ბატონი იასონის ქება-დიდება მისი ყოფილი მოსწავლეების, ჩემი უფროსი კოლეგებისაგან.

– გაბედავი და იასონ შონვაძეს, გალაკტიონ ხარაბაძეს (ისიც ჩინებული დირექტორი ბრძანებულა) უბაფრად დაუჯდებოდი გაკვეთილზე...

– შესვენებებზე ხელში წივნი რომ არ გჭეროდა, მერე გენახა დირექტორის გაბრაზება...

– კაი ცოლ-შვილი დატოვა ბიძა, კაი...

გამოსაშვებ საღამოებზე ხომ განსაკუთრებით ისმებოდა ყველა ყოფილი პედაგოგის, ყოფილი დირექტორის ხსოვნის სადღეგრძელო და განსაკუთრებულადვე იოგნებ-



ნენ განსაკუთრებით აქტიურ ახალგაზრდა კაცს – იასონ შონვაძეს, რომელსაც მრავალი, მრავალი ოცნება დარჩა განუხორციელებელი.

იგი იმ 700 000 ქართველს შორისაა, მეორე მსოფლიო ომმა, რომ შეიწი-

რა გმირის სივლილით.

ხსოვნა გრძელდება...
გაზარდე შვილი, დარეგ ხე და გექნება უფლება თქვა – მე ვიცხოვრე – არის ასეთი გამოთქმა.

წერილ-შვილით დარჩა ქალბატონი ნინა ბუაძე-შონვაძე შინ მარტოდ, როცა ბატონი იასონი ომში წავიდა. თუმცა, სულით არ დაცემულა, შრომა და ჯიჟა გაიათიკვა, დირექტორი შვილები, შვილიშვილები აღზარდა, კერა არ გააცვივა... 1985 წელს გააცილეს შვილებმა, შვილიშვილებმა, შვილიშვილებმა უკანასკნელ გზაზე მრავალწინანახი, თუმცა მაინც ამაყი და ბედნიერი ქალბატონი.

ამას წინათ, ბატონი იასონის შვილიშვილის, ექიმ ზანა ვაშკაიძის მეშვიშებით ხელთ უძველესი ნაწერები ჩამივარდა, ბატონ იასონ შონვაძეს ეკუთვნოდა ისინი.

სექტემბერში 140 წელი შესრულდა სახელოვანი ტრადიციების მქონე დიდი ჯიხაიშის ალექსანდრე ყაზბეგის საჯარო სკოლის დაარსებიდან. ამ მოვლენასთან დაკავშირებით გაიხსენა ბატონი იასონ შონვაძე, კაცი, რომლის დირექტორობის პერიოდი ოქროს ასოებით ჩაიწერა სკოლის საუკუნეხსევრიან, დირექტორის სტორიაში.

ხსოვნა გრძელდება და თაობიდან თაობას გადაეცემა. – დიხაჯ, აქეთ სამაყო ნინა ბუაძისა და იასონ შონვაძის შვილებს, შვილიშვილებს, შვილიშვილებს... ის, რომ სასახელო წინაპრები ჰყავდათ.

დღეს კი, დღეს 60 ადამიანს ითვლის ქალბატონი ნინასა და ბატონი იასონის მონაგარი, ერთი პატარა სოფელია, ღმერთმა აშრალონ...

სახელოვანი ნინა ბუაძე და იასონ შონვაძე
იასონ შონვაძე მუხამ
კოლეგები

ერთი სკოლის ისტორიის

ჩვენი სკოლა

სკოლის პერიოდი დაუვიწყარ კვალს ტოვებს ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში. მეხსიერებას შემორჩა როგორც კარგი მოგონებები, ისე სამწუხარო ფაქტებიც (თუმცა ამ უკანასკნელს ბავშვის გონება ხშირ შემთხვევაში ნაკლები სიმწვავეით აღიქვამს ხოლმე). ეს ყველაფერი ილექება ცნობიერებაში და გარკვეული პერიოდის შემდეგ არაერთგვაროვან ემოციებს იწვევს ჩვენში. მაშინდელი უსამოვნებანი დღეს ღმილითაც კი შეიძლება გავიხსენოთ.

რეინციხის № 24 საშუალო სკოლა (ასე იწოდებოდა იგი, როცა იქ ვსწავლობდი), ორ ორსართულიან, კოხტად და მყარად ნაგებ შენობაში იყო განთავსებული. იგი ჯერ ქალთა სკოლა იყო, შემდეგ კი ვაჟებზე შემოვიყვანდნენ. რეინციხის სკოლის მოსწავლეები განსხვავებულ ფორმებს ვატარებდით, ეს იყო ლურჯი ფერის კაბები შავი (სადღესასწაულოდ თეთრი) ფერის წინსაფრებით. ვაჟებისათვისაც სავალდებულო იყო ლურჯი შარვლები. დაბალ კლასებში აუცილებელი იყო წითელი ფეხსაცმელი ტარება (რასაც განსაკუთრებით აპროტესტებდნენ ვაჟები და გაკვეთილების შემდეგ უმაღლე იხსნიდნენ). ასე რომ, ჩვენი ფორმის მიხედვით ადვილი გამოსაჩნობი იყო, რომელი სკოლის წარმომადგენლები ვიყავით, რადგან სხვა სასწავლებლის (ქალაქის და სოფლებისაც) მოსწავლეები ვაჟისფერ ფორმებს ატარებდნენ.

სკოლის პერიოდის მოგონებები, რა თქმა უნდა, უპირველესად ჩვენს მასწავლებლებს უკავშირდება და თანაკლასელებს, რომლებთან ერთადაც მოგვიხდა იმ წლების გატარება. მასხოვს როგორი გატაცებით გვიტარებდნენ გაკვეთილებს: შ. კახაძე, გ. მანტიძე, ა. ტეპლიცკაია, ტ. ტაბიძე, თ. თელიძე, ქ. ღალანტიძე, კ. გოგოძე, თ. ჯანელიძე, ტ. კობრეიძე, ს. გელ-

ეიშვილი, გ. კალაძე, ნ. წიქორიძე, თ. რუსია, ვ. ჩიგოგიძე და სხვები. პირველი კლასის მასწავლებელი, ბუნებრივია, ყველას გვახსოვს – თ. ჩახუნაშვილი. განსაკუთრებით უნდა მოვიგონო ჩვენი სკოლის დირექტორი, შ. ქართველიშვილი. ვიქორბობ, ჩვენ გაგვიმართლა, რომ სწორედ იგი განაგებდა ჩვენს სკოლას, რადგან იგი იყო გამოჩენილი პედაგოგი თავისი განათლებითა და ცხოვრების წესით. ჩვენ მაშინ არ გვესმოდა, რატომ იყო ის მუდამ შავებში ჩაცმული, შუბლიც კი არ უჩანდა. ზოგიერთები ამას იმით ხსნიდნენ, რომ მძა დაეღუპა ომში და შემდეგ შავები არ გაუხდია. მაშინ არ ვივლით, რა იყო ეკლესიური ცხოვრება, წირვა-ლოცვა, ტანებში არ არსებობდა. ახლა, როცა ამას ყველაფერს ვაცნობიერებ, იგი, უთუოდ, მონაზვნის სამოსს ატარებდა. ალბათ ამიტომ იყო, რომ მისი გარეგნობა, მუდამ აუღელვებელი ტონი ჩვენში დიდ მოწიწებას იწვევდა. სიტყვას ვერც ერთი მასწავლებელი შეუბრუნებდა, მოსწავლეებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, თუმცა ხმას არასდროს უმაღლებდა. ჩვენს სკოლაში დედაჩემი ზ. შენგელია გეოგრაფიას ასწავლიდა. მისგან მსმენია, რომ ყველა საგნის მასწავლებელს დროდარო გაკვეთილებზე ესწრებოდა (რაც სავალდებულო იყო დირექტორისათვის), შემდეგ გაანალიზებდა მას და ძალიან საყურადღებო შენიშვნებს აძლევდა. იგი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო ჩვენს სკოლაში, არამედ მთელს რაიონში, რამაც, უთუოდ, განსაზღვრა ჩვენი, მოსწავლეების ქცევა. არ მახსოვს თანაკლასელი ვაჟები უკადრისად მოპყრობდნენ გოგონებს, ან მოსწავლეები ერთმანეთს უდიდრად მოქცობდნენ, “საქმის გარეგნობაც” და ჩხუბებსაც მაინცდამაინც ვერ ვახსენებ. უფროსკლასელი ბჭვიცი მალეულად თუ გაბედავდნენ პაპიროსის მოწვევას.



სკოლის ცხოვრებაში ყველაზე ხალისიანი პერიოდი იყო ე. წ. ოლიმპიადები, როცა რაიონის სკოლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მხატვრულ თვითშემოქმედებაში. ძირითადად ორი სკოლა უწევდა ერთმანეთს კონკურენციას. ჩვენი სკოლის მოსწავლეებს თავი მოგვწონდა მომდერალთა გუნდით, რომელსაც დიდი ენთუზიაზმით ხელმძღვანელობდა პროფესიონალი ლოტბარი ს. მუქერია. მივცეკვავეთა გუნდს ჩვენივე სკოლის უფროსკლასელები ამზადებდნენ. დიდი ინტერესით ველოდებოდით პირველ ადგილს და ვაჟავებდით თუ მეორეს და ვეჯერებოდით. შრომითი შემოსტრი არ გვექონია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ერთი კვირა მაინც კოლმეურნეებს ვუხმარებოდით მოსავლის აღებაში, რითაც ერთგვარ გამოცდილებას ვიძლეოდით შრომით საქმიანობაში და ერთმანეთსაც უკეთ ვეცნობოდით.

მაშინდელი განათლების სისტემა, ცხადია, განსხვავებული იყო დღევანდლისაგან. ჩვენი თვალსაჩინო გაცილებით ვიწრო იყო, არ ვიცოდით რა ხდებოდა მსოფლიოში, მხოლოდ რუკაზე შეგვეძლო მოგვიჩვენა, სად იყო ამერია, აფრიკა, იაპონია. ისეთი საგნებიც გვექონდა, რომელ-

იც არაფერს გვაძლევდა, მაგალითად: ყოფიქვევა საგანი იყო, მაგრამ არ ისწავლებოდა, ამ საგანში 5-ზე დაბალი ნიშანი (მაშინ არსებობდა 5 ბალიანი სისტემა), ფაქტობრივად, არ იყრებოდა, თუ რაიმე საგანგებო შემთხვევა არ მოხდებოდა. რაც შეეხება სხვა საგნებს, გვასწავლიდნენ: ქართულს, რუსულს, უცხო ენას, ბოტანიკას, არითმეტიკას, ხანვას (რომელიც ძალიან მაინტერესებდა), ფიზიკულურას. ერთი რამ შეიძლება ითქვას, ეს საგნები იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ზოგადი განათლება მიგველო. ფრიალებს ვისაც უნდა, მივითხროდი ორი სკოლა და ტექნიკური საგნებიც ერთნაირად უნდა ესწავლა. ეს არ იყო იოლი, მაშინ არ იყო რეპეტიტორობა, ამიტომ ვისაც უმაღლეს სასწავლებელში სწავლა სურდა (რომელიც მხოლოდ რამდენიმე იყო საქართველოს ქალაქებში და აძლენად, სტუდენტთა კონტიგენტი მე-

აცად იყო განსაზღვრული), საკმაო გარჯა უწევდა ამისთვის.

თანაკლასელებიდან მინდა ზოგიერთი გავიხსენო: ი. კვეციანი, ნ. მანტიძე, ფ. აზნაიანი, დ. ხაქობია, დ. ტყეშელაშვილი, მ. ბოხუა, მ. ქუთათელაძე, მ. ჩაჩუა, თ. ჭანტურია, ზ. რუხაძე, ს. არაბიძე, ც. ქანთარია, ნ. სტურუა, გ. სტურუა, ჯ. კუჭუთაძე, ი. სტურუა. ურთიერთობა ზოგიერთებმა შევიწინააღმდეგეთ ან განვაახლეთ ერთმანეთთან. ბევრს კი დიდი ხანია არც შევხვედრივარ. მიხარია, როცა შემიხმინებანი ხოლმე, ბევრი რამ გვაქვს მოსაზრონარი, ბევრ თითქოს უშინაშენი ეპიზოდებსაც ვიხსენებთ, სითბოთი და სიყვარულით. აი, ასეთი მახსოვს ჩემი სკოლა.

იასონ შონვაძე
თბილისის იმ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სახალისო პეისტიკა

ძველი სამტრედიის ჩემი ბავშვობა და ახალგაზრდობაა. მეხსიერება ბევრ საინტერესო მოგონებას იტევს, არ მასვენებს, გამომწუხრებს მიხოს, მეც არ ვაყოფნებ... ძველი სამტრედიის სასაფლაოს კუთხეში, პატარა ჩიხში გველიშვილები სახლობდნენ. ერთ-ერთი მათგანი გიორგი გველიშვილის ოჯახი გახლდათ, ორსართულიანი ხის ოლით, ზეხილით დატვირთული ვეებერთელა ეწილი. მამაჩემის გადმოცემით, ამ ფუძემ ძველი აზნაური ვასილ რატანი ცხოვრობდა, რომელსაც ცოლად ფატმან გველიშვილი ჰყავდა. რატანი ცნობილი იყო ულამაზესი ბაღით, რომელიც იმხანად ძველი სამტრედიის კოლმეურნეობის საკუთრებას წარმოადგენდა. ამ ტერიტორიაზე განთავსებული იყო კოლმეურნეობის ბედელი, მიმდებარე მიწის ნაკვეთი კ ძველი ზეხილის ნარგავებით მზახველის გულს ახარებდა. აქაურობას ყველა რატანის ბაღის სახელით მოიხსენიებდა.

ერთ მზიან დღეს თანატოლებთან ერთად ბუდედიან მოვიდილი (რომელიც ესაზღვრებოდა გიორგი გველიშვილის სახლს).

იქვე მდებარე გიორგის და გავგესაუბრა. დაინტერესდა ვისი შვილები ვიყავით, როგორ ვსწავლობდით. როცა მამაჩემის სახელი და გვარი გაიგო, გაუხარდა და მიიხრა, ერთი გვარისა ვართ, შენი გვარის ისტორია ხომ გაინტერესებს, მე საკუთარი ბიბლიოთეკა მაქვს, მოდი, წიგნები შეარჩიე, წაიკითხე, ოღონდ დროზე დააბრუნე. ახლა კი მარამ გარიყვლის მოგონებებს გაგატანო. წიგნი დიდი ინტერესით წაგიკითხე და გაგაგრძელე ამ ოჯახის ბიბლიოთეკით სარგებლობა. (სწორედ მაშინ ვაგვიც, რომ ცნობილი ქართველი მწერალი მარამ გარიყვლი რატანების ოჯახის რძალი იყო და გარკვეული წლები ძველ სამტრედიას გაატარა). ასე შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში მარამ გარიყვლი, როგორც მწერალი და მისისტორიე, რომელმაც სათუთად შემოგვიჩვენა მოგონებები ძველ სამტრედიას, დიდ ჯიხაშზე, ოჯახზე, იმერულ ტრადიციებზე, ქართულ თეატრზე, მწერლობაზე. მის მოგონებებს ყველა ინტერესით უნდა გაეცნოს, იგი ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი მისტორიეა.

ნათია გაბრიელიძე
ძველი სამტრედიის



მარხვა სულის ზეიშია

ღვთის ტაძარი უპირველესად სიყვარულის სკოლაა და მხოლოდ შინაგანი, გულისმიერი წვრთნით, წინსვლით უნდა გაიზარდოს მასში.

წუ დაგვაგვიწყდება, რომ ყოველი ადამიანი, მიუხედავად იმისა, მორწმუნეა იგი თუ ურწმუნო, ხატია ღვთისა და ამ ხატს ვერავინ შეცვლის.

ეკლესიაში, "სულის სასწავლებელში" მხოლოდ სიარული არ ნიშნავს ჭეშმარიტ ქრისტიანობას. ღვთის ტაძარი უპირველესად სიყვარულის სკოლაა და მხოლოდ შინაგანი, გულისმიერი წვრთნით, წინსვლით უნდა გაიზარდოს მასში. ღმერთი მიუწვდომელია და ჭეშმარიტებაში ჰკვივებს, იღუპება მისი ყოფიერება, არის, ძალა და ბუნება. არსებობს მასთან მიახლოების ყველაზე მართებული გზა, გზა სიყვარულისა. იგი არის ხიდი გადებული ღმერთსა და ადამიანს შორის, დამაკავშირებელი სივდილისა და გვირგვინიანი ადღვრისა. სიყვარული სათნოებათა ოცენაა, რომელშიც როგორც ჩაედინება, ასევე სათავეს იღებს "სათნოებათა მდინარეები". იგი ძალა, საფასე, საუნჯეა ყოველი სათნოებისა, რომელსაც შეუძლია ბოროტება სიკეთედ აქციოს, ცოდვა-მადლად, ბნელი-ნათლად, სასრული უსასრულოდ.

რაც ყველა კანონს აღემატება, ეს სიყვარულია.

არის სიკეთეები, რომლებიც მიწიერ სამყაროში აღესრულება: მოწყალება, მარხვა, მღვიბარება და მრავალი სხვა. მაგრამ არის ისეთი ზეციური საგნები, რომელიც არასდროს წყვეტს არსებობას და ზეცაშიც განაგრძობს ზრდა-განვითარებას. ყველაფრის თავი და თავი ხომ უფალია და უფალი ხომ სიყვარულია თავად.

მიწიერი ცხოვრება, თითოეული ადამიანის არსებობა, ეს არის მწუხარება, ვაება, ტანჯვა. ყოველი ჩვენგანის გზა გოლოთაა, მაგრამ ამ გზის ბოლოს უფალი დგას, უფალი, მოწყალე გულით მანათილებელთა მოლოდინში.

თუ მექონებ თიხის ცეცხლში გაქვრების ზომა იცის, რათა იგი არ გასდეს. ნუთუ ღმერთმა არ იცის ჩვენი ტანჯვის საზღვარი? გვამდეს, რომ შენი ტანჯვა არასოდეს გაცდებდა საზღვრებს. შემოქმედი ნებისმიერ მებაღეზე მეტი მზრუნველობით და სიყვარულით ზრუნავს თითოეულ ადამიანზე. მთავარია მონღომება და მის წიაღში დაბრუნება. როგორ? უფლის მცნებთა ასრულებით. ეს არი ვიწრო, მაგრამ ერთადერთი ღვთის ნუგეშით აღვსილი გზა სასუფეველამდე და ცხონებამდე.

წუთისოფელი მსგავსია ოქროს თასისა, რომელსაც შემოვთავაზებენ მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ღვინით და გეტყვიან "დალიე მაგრამ იცოდ, რომ ფსევრზე მორიელია" – დალევი? მსგავსად ამისა მიწიერ სამოქმედო ვიწრო ფიალაში მორიელი იმალევა. თვითვე ეს ფიალა (მიწიერი ცხოვრება) სულაც არაა იმდენად ღრმა, რომ მორიელი სულ ახლოს არ იყოს ჩვენი ბაგეებთან. ამიტომ ყოველი ადამიანი უნდა იყოს ფხიზლად და არ იყოს ამოუბრუნებელი მიჯაჭვული. ლოცვაში წერია: "აჰა ესე-რა სიძე მოვალს შუადამესა და ნეტარ არს მონა იგი, რომელი იპოვის მღვიბარედ, ხოლო ვაი არს მონისა მის, რომელი იპოვის უღებებით... სული ჩემო, სული ჩემო, აღდეგ, რასა გძინავს".

აღდგომას, ამაღლებას და უფალში

ხელმოერედ შობასა და განახლებაში უწყობს ხელს ადამიანს მარხვა სინანულით. ეს არის კიდევ ერთი შანსი და შესაძლებლობა, მოწოდება თუ ძახილი მათთვის, ვისაც ჯერ არ დაუწყია ეკლესიური ცხოვრება, რომ ეს წელი მაინც არ დაკარგონ, შემდეგი წლები მაინც არ გალიონ ჭეშმარიტებასთან უზიარებლად, ხოლო ეკლესიურად მცხოვრებთათვის მარხვა არის შესაძლებლობა რწმენაში გამტკიცებისა და სულიერ სიმაღლეზე ასვლისა. ძველია ვენებასა და მანე მდერეკილებზე უარის თქმა, მაგრამ თუნდაც იძულება საწინდარია იმისა, რომ ოდესმე ჭეშმარიტი მარხვითა და თავშეკავებით ცხოვრებას შევძლებთ.

მართლმადიდებლობა ის ზეციური კობეა, რომელსაც უფალთან მივყავართ. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მონათლო, სულიწმიდის სახელით ქრისტეს წიაღში შეხვიდე და მერე წარმართული წეს-ჩვეულებებით, ფსევდოქრისტიანულად იცხოვრო. თუკი რაღაც დაბრუნება შეგვხვდება ცხოვრების გზაზე, მოთხოვე მხოლოდ საკუთარ თავს – ილოცო, იმარხულო, ეზიარო და გულწრფელი სინანულით მონანიო შეცოდებანი ნებსით თუ უნებლიედ ჩადენილი.

იყო მართლმადიდებელი და იყო ქართველი ქრისტიანი, ეს ცალკე ვალდებულებაა, იოლი არ არის, მაგრამ შევახსენოთ მრავალჯერ საკუთარ თავს ის უდიდესი მსხვერპლი, რომელიც ქრისტემ ჩვენს საცხოვრებლად გაიღო. გვიხსენოთ ჩვენი წინაპრები როგორ იცავდნენ რჯულს და ნათლად აღასრულებდნენ უფლის მცნებებს და როგორ ზეიმობდნენ მართლმადიდებლურ დღესასწაულებს. როგორი რწმენით ააგეს სვეტ-იცხოვრე, გელათი, ბაგრატი, ალავერდი, ნიკორწმინდა, ოშკი, ხანძთა.

მარხვა სულის ზეიშია. ვისაც გვიყ

ვარს სიცოცხლე, სამშობლო, შევიტებით მარხვა, რადგან არაფერი ისე არ მოდრეკს ჩვენს ღვთის გულმორწყალებას, როგორც სიმდაბლით და სინანულით აღსრულებული მარხვა. სიტყვა მარხვა ბევრ აზრს მოიცავს, მარხვა არ არის მხოლოდ სახსნილო საკვებისგან თავის შეკავება, არსებობს ორი, ზორციელი და სულიერი მარხვა. მარხვა მეტი სინანულისათვის, მეტი განახლებისა და უკეთესობისაკენ გარდაქმნისათვის.

ახლა როგორც არასდროს გვჭირდება ღვთის მოწყალება. რადგან დროებით დაკარგული მიწებს, უცხოეთში გახიზნილი ქართველებს, ჩვენი ქვეყნის თუ მსოფლიოს დიდი გამოწვევების ზღვარზე ყოფნის დროს, უფრო მეტი გულმოდგინებით აღვასრულოთ თანანადები. ეს მართო საქართველოს და ჩვენ ქვეყნას არ უნდა ეხებოდეს, უფალი ხომ ერთია როგორც მზე და ყველა ერს ევლინება მსხენლად, "ნივრეა უნდა დაიქცესო", – ბრძანა უფალმა, მაგრამ ნინეველთა სინანულმა, მარხვამ და ლოცვამ შეცვალა ღვთის "განჩინება".

მრავალჯერ გავიხსენოთ და ჩვენი ცხოვრების მაგალითად ვაქციოთ ჩვენი ღირსეული წინაპრების და მათი ცხოვრების სათნოებათა კიბე, რომ თავისი სწორი ცხოვრებით სათნო ყვეწენ უფალს.

ადამიანი სულიერი სრულყოფილების კიბეზე იმ მადლს აჰყავს, რომელსაც სიწმინდე ჰქვია და გადაჰყავს მარადიულ უკვდავებაში, რასაც თითოეულ თქვენგანს ვისურვებთ და აქაური დამამერალნი ერთად ვუგალობთ უფალს, ზეციურ მამას, სრულყოფილნი და განწმენილნი, მოხვიემ საქართველოში. ამინ!

მოხსენება
პირველი მარხვა

"ნმინრაო კოოხვი, დიქების მხეაიხო!"

კონცერტი გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს მიუძღვნეს. საამოდ სახმენ საგალობლებს გაერინდა დარბაზი. ლექსად ეთაყვანეს წმინდანს. ადგილობრივი შემოქმედებითი ანსამბლები მოერძალეულ საღამოზე მასპინძლობდნენ თანაქალაქელებს.

ვაჟთა ვოკალური ანსამბლი "სამტრედია" წლებია გემოვნებიანი მსმენელის სიმპათიას იმსახურებს. ასე იყო იმ დღესაც. გულიანი ქართული სიმღერითა და იმედანი "მრავალგამიერი" მოგვხიბლეს, ჩონგურის სიმთა შეხმატკილევით მოგვწუნეს ჩოხოსნებმა.

კვლავ ღვთისმშობლის წილხვედრ სამშობლოს უმღერდა ანა აბზიანიძე. ძლიერი ხმის ტემბრი, ხავერდოვნება... როგორც ყოველთვის, ოვაციებად დაუბრუნდა მუსიკოსს – უკლებლად.

წმინდა ნინოს შეაყვარეს მრავალტანჯული საქართველოს მომავალი; მღეროდა ქალთა ანსამბლი "ათინათი" და საღებუნად ეფინებოდა დარბაზს "ავე მარია".

დავით კოპალეიშვილი – მოტრფიალე მელიომანი. სითბოს, ქალაქური აღერის მომგვრელია მისი რეპერტუარი. მღეროდა და სიყვარულის ამბავს ჰყვებოდა თითქოს – კრძალვით, რიღით... ბატონმა დავითმა წარუდგინა შერეული კულტურის ცენტრის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომლის აღსაზრდელებმა ჩვეული ენერგიულობით, მოხდენილი მოძრაობებით გააცოცხლეს მთიულური ყოფა.

საღამოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე ორგანიზატორის ამპლუაში ესწრებოდა.

მოწონება აპლოდისმენტებით დაუდასტურეს გამომსვენელებს. გიორგობის დილა რწმენის სიმტკიცედ გათენდა სამტრედიაში!

პირველი მარხვა



“ეს უმხვედრები ვასუვლია სწორედ კამერულობისა და იშვიათობის ბაჟო”

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა ის მყუდრო ადგილია, სადაც ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათს დეკანოზი ანტონი (ვაჟაძე) ბიბლიის გაკვეთილებს ატარებს. არა მარტო მისი სულიერი შვილები, არამედ ყველა ის ადამიანი, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია მისი საუბრების მოსმენის საშუალება, ცდილობენ არ გამოტოვონ მოძღვრის არცერთი ლექცია-გაკვეთილი.

ამჯერადაც საუბრის თემა რელიგია იყო. "რელიგია არის ადამიანის განვითარების უმაღლესი ნიშნული. ის ღმერთთან კავშირის მოსახზრებს. ქრისტიანობას, იუდაიზმს, ისლამს – სამივე ამ მონოთეისტურ რელიგიას აქვს წმინდა ტექსტები. არსებობს ამ წმინდა ტექსტების შემსწავლელი მეცნიერება – ეგზეგეტიკა. ხშირად ვხედავთ, ღმერთის სახელით ძალადობენ, ეს არასწორია. ესაა ერთგვარი ვაკუუმი, როგორც ზოგადად ადამიანური კულტურისა, ისე წმინდა ტექსტების ცოდნისა. "შე მოვედი მშვიდობის მოსაფენად! მოვედი იმისთვის, რომ შევიწყლო!" – ამბობს ქრისტე. გამოსავალი არის სწორედ მშვიდობისმოყვარეობაში, დაილოცე, თეოლოგიური დისკურსის გაღრმავებაში". – აღნიშნა მოძღვარმა.

შეხვედრები ტრადიციულად კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობს. მამა ანტონის საინტერესო თემებზე საუბრისათვის მადლობა გადაუხადა უფროსი თაობის წარმომადგენელმა, იურისტმა ოთარ სტურუამ, რომელიც პირველად დაესწრო მოძღვრის ლექციას. კითხვები დასვეს საზოგადოება "სამტრედელის" წევრმა ვია ბოჭორიშვილმა და ბიბლიოგრაფმა ნანა გეგუჩაძემ.

რამდენად ფასეულია მსგავსი შეხვედრები ჩვენი თანაქალაქელებისათვის? ამ კითხვით მივმართეთ შესანიშნავ ფილოლოგ ნინო ტონიას:

"დარბაზის, მამა ანტონის, აქაური აუდიტორიის შემადგენლობა ასაკობრივი და სოციალური თვალსაზრისით მრავალფეროვანია და მას აერთიანებს მეცნიერული წვდომის, სააზროვნო დისკიპლინების საიდუმლოებათა ამოხსნის გულწრფელი სურვილი. ეს შეხვედრები ფასეულია სწორედ კამერულობისა და იშვიათობის გამო. სასულიერო სფერო, მეცნიერული თემატიკა, ინტელექტუალური მოღვაწეობა, განსჯითი და შემეცნებითი საქმიანობა არ შეიძლება იყოს საყოველთაო და ის თავისი არხიდან და ბუნებიდან გამომდინარე მოთხოვნის სწორედ ამ ხასიათის კონტაქტს, დაფიქრებას, პრობლემატიკის მონიშვნას, ხანგრძლივ მოლოდინს დასკვნით პასუხებზე.

ეს საუბრები ქმნის პირობას ინტროსპექციისათვის, საკუთარ სულში ხედვისათვის".



პროფესორ იური ბიბილიაშვილის საიუბილეოდ

ჩვენს სასიყვარულო მამულიშვილს, სოფელ დიდ ჯიხაშვილ იური ავქსენტის ძე ბიბილიაშვილს 80 წელი შეუსრულდა.

დიდრეულ ერისკაცს იუბილე ცნობილმა ადამიანებმა მიულოცეს. დიდი და მძიმეა შენი ლიტერატურული ხურჯინი. დიდ ჯიხაშვილს, ღარიბი მეწაღის, ავქსენტის ბიბილიაშვილის ოჯახში დაბადებულმა კაცმა, აუწონავი სიმდიდრე შესძინე შენს მშობლიურ ლიტერატურას და პედაგოგიურ მეცნიერებას.

იშვიათზე იშვიათია არა მარტო საქართველოში, რომ მეცნიერების დოქტორის ორთა ხარისხი მიენიჭებინოთ. შენ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორიც ბრძანდები და პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორიც...

80 წელი ვერას დაგაკლებს, გამაგრდი და გასალკლდევი, ჩემო იური! სიკვდილამდე (და მერეც) შენს გვერდით მივუვლი.

შენი რევაზ მიშველაძე იური ბიბილიაშვილს – ქართული მწერლობის გამოჩენილ მკვლევარს, მეცნიერსა და მოღვაწეს 80 წელი შეუსრულდა...

ვუსურვებ ჩვენს ძვირფას კოლეგას ჯანმრთელობასა და მხნეობას. სოსო სიგუა

იუბილარს გულთბილი მილოცვა გაუგზავნა საქართველოს მწერალთა კავშირმაც, სადაც კვითხულობთ: თქვენი კრებულები, "ლიტერატურული წერილები", "ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები", "დრამატურების ქალაქი", "ცხოვრების საზრისი", "ნექტრით სავსე ფილა", "ცხოვრების შუაგულში" და სხვა მრავალი, ყურადღებას საკვლევი მასალის ღრმა ცოდნით, პირუთენელობით, ობიექტურობით იპყრობს.

გულთბილად ვილოცავთ საიუბილეო თარიღს მხცოვან, ღვაწლმოსილ კოლეგას. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს თქვენს საქმიანობაში". ნათქვამია მილოცვაში.

"სამტრედიის მაცნე" მკითხველთა სახელით უერთდება გულწრფელ მილოცვებს და ხანგრძლივ სიცოცხლეს უსურვებს სახელოვან სამტრედიელს, ქართული მრავალსაუკუნოვანი მწერლობის დაუღალავ მუშაკსა და საზოგადო მოღვაწეს.


ლევან ბაბუნაძე

გიორგი ტოვსტონოვოვი – 100

"ჯახგი ჰედაგოგი – ეს დიდი ბედნიეხებაა!"

რეჟისორი ფრანგული სიტყვითა და მშართი ნიშნავს, მშართი ფუნქცია კი – საპასუხისმგებლობა. გიორგი ტოვსტონოვოვის ცხოვრება ერთი პიროვნების განვლილ გზას არ ჰგავს. რეჟისორი, თეატრის თეორიტიკოსი, თვითმყოფადი ხელოვანი, ორიგინალური შემოქმედი – ბევრი ეპითეტი ესადაგება მის სახელს, მაგრამ გამოირჩევილი, ალბათ, პედაგოგ ტოვსტონოვოვის ამბოვითა.

მასწავლებელი იოსელიანთან სტუმრობისას ოთხმოცდაათს გადმოთქმული ქალბატონი როგორი ალტაცებით, გაუხუნარი ემოციებით ჰყვებოდა დიდ მასწავლებელზე, მასწავლებელზე, რომლის შემოქმედების შესახებ კვითხულობთ: "გიორგი ტოვსტონოვოვის სპექტაკლები მნიშვნელოვანია ფორმის სიმკვეთრით, უანბრობით მრავალფეროვნებით, ნაწარმოების ღრმა ფსიქოლოგიური წვდომით. მისი ხელოვნება ათეული წლების მანძილზე მსოფლიო თეატრალური ხელოვნების ყურადღების ცენტრში იყო. მის მიერ დამუშავებული სპექტაკლებიდან გამოირჩევა: ვიშნევის "ოპტიმისტური ტრაგედია", ა. ვოლოდინის "ჩემი უფროსი და", გ. ფიგერედიუსი "შელა და ყურძენი", დოსტოევსკის "იდიოტი", ა. ცაგარელის "ხანუმა", ლ. ტოვსტონოვის "ცხენის ისტორია" და სხვა."



ცნობებს პროფესიულ ასპარეზზე ტოვსტონოვოვის გამოსვლის შესახებ თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში მიეყვართ. იგი წლების მანძილზე იყო სხვადასხვა თეატრის ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი. პარალელურად კი – საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტში მოღვაწეობდა.

სალომე ყანჭელი – რეჟისორის დრამატული ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. გიორგი ტოვსტონოვოვისთვის, როგორც ხელოვანისთვის, ხელი არ შეუშლიდა მეუღლესთან დაუცხრომელ ვენებთაღელვებას. პეტერბურგში (მამინდელ ლენინგრადში), გორკის სახელობის თეატრში მიწვეულ რეჟისორს (დღეს ეს თეატრი გ. ტოვსტონოვოვის სახელს ატარებს) შეიღებოთ თან მიჰყავს. ვაჟებთან განშორება მოუწევდა დარდად ექცა თურმე სალომე ყანჭელს.

სტუდენტი და პედაგოგი. მსახიობი და რეჟისორი.

შეუღლება. დანერგული ოჯახი.

მათი ურთიერთობა ლეგენდად დარჩა შთამომავლობას.

წერილს აწ გარდაცვლილი თეატრმცოდნის, ქალბატონი ნათელა ურუშაძის მოგონებით დავასრულებთ: "გიორგი ტოვსტონოვოვი დედით ქართველი იყო და საქართველოში ჩამოსვლისთანავე ის აკაკი ხორავამ თეატრალური ინსტიტუტში პედაგოგად მოიწვია. იმ დროს რეჟისორი დიდი ალექსიძე ვეგანავლიდა. როდესაც გვიტხრეს, რომ ჩვენს ჯგუფში გიორგი ტოვსტონოვოვი უნდა შემოსულიყო, გული დავგვწყვიტა, რადგანაც ბატონი დიდი ძალიან გვიყვარდა, მაგრამ გაპროტესტებას ვინ გაბედავდა. ტოვსტონოვოვთან შეხვედრის მოლოდინში ვიყავით... და ისიც კი არ შემოვიდა, არამედ შემოვარდა აუდიტორიაში და გვკითხა: იცით, რა არის თეატრი? აი, ასე დაიწყო ჩვენი ხანგრძლივი დიალოგი... მან ისეთი ახსნა იცოდა, რომ მის მოსმენას არაფერი სჯობდა. ერთხელ კვითხეთ: – "რა წავიკითხით?" ამასვე გვიპასუხა: – "არაფერი, თქვენ დაუსრულებლად უნდა კითხულობდით ცხოვრებას". კარგი პედაგოგი – ეს დიდი ბედნიეხებაა!"

თბილისის საპატიო მოქალაქე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი 1989 წელს გარდაიცვალა.

ამ დღეებში 100 წელი შესრულდა გიორგი ტოვსტონოვოვის დაბადებიდან. ლევან ბაბუნაძე

ბამარჯვებამ ჯორის საჯარო სკოლის ღირსი აცემკა

ზამთრის მოახლოვებამ და სიცივემ, სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის შესარჩევ პირად და გუნდურ შეჯიბრებაში მაგიდის ჩოგბურთში, ქალაქის № 3 საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში 50 მონაწილეს რაიონის 16 საჯარო სკოლიდან მოუყარა თავი. სულ 40 ვაჟი და 10 გოგონა შეირჩა. ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად თავიანთი წარმომადგენლობა მოავლინეს, დაბა კულაშის, მელაურის, საჯავახოს, დაბლა გომის, ჩხენიშის, ეწრის, დიდი ჯიხაშვის №1 და ნიკოლაძის სახელობის, ქალაქის №1, 3, №4, №10, №11, №15, ოფეთის №1 და №2 საჯარო სკოლებმა. შეჯიბრება მიმდინარე წლის 18 ნოემბერს, ოლიმპიური სისტემით დაიწყო.

პირველივე დღეს, მონაწილეთა სიმრავლის გამო, გოგონებში 3 და ვაჟებში 2 წრე მოეწყო. მეორე დღეს ფინალურ ეტაპზე უკეთესი მომზადება ეწრის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გამოიჩინეს. როგორც ვაჟებში თვედორე კობალაძე იმედილია, ისე გოგონებში ანანო ფოცხვერიამ პირველი ადგილები მოიპოვეს და გუნდური პირველი ადგილიც დაისაკუთრეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში, მაგიდის ჩოგბურთში, სასკოლო შეჯიბრების ისტორიაში მოწინავე პოზიციები ქალაქის № 3 საჯარო სკოლის მოსწავლეებს ეკავათ, ხოლო ამჯერად, პირველად პირველი ადგილი, როგორც პირადში ისე გუნდურშიც, ეწრის საჯარო სკოლას ერგო. სკოლის დირექტორმა, მიხეილ კობალაძე იმედილია, რომელიც შეჯიბრებას ესწრებოდა, სიხარულითაგან ხელები გამშალა და უნებლიედ ციკვა "მთიულური" გამოუვიდა. ვულოცავთ მას და მის სკოლას ამ წარმატებას.



მეორე ადგილებზე გავიდნენ ვანო სტურუა №3 საჯარო სკოლა, ხოლო გოგონებში ნათია ჩაჩუა, დაბლა გომის საჯარო სკოლა. მესამე, ლუკა რუსია №11 საჯარო სკოლა და ნინო გაბედავა ქალაქის №1 საჯარო სკოლა. საპირისპირო ადგილებზე გასული როგორც მონაწილეები, ისე გუნდები დაჯილდოვდნენ კომპლექსური სპორტული სკოლის სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

ლევან ბაბუნაძე

ის ჩვენი კოლეგა იყო...

დიდი ღვაწლი გასწავლა...

ერთ ჩვეულებრივ დღეს რედაქციაში მორიგი წერილი მოვიტანე, მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი განუთხრომელი შტატიანი თანამშრომელი.

დაღვრემილი დამხვდნენ რედაქციის მუშაკები. სამწუხარო ამბავი მოსულიყო იმ წამს ცნობილი ტელეჟურნალისტის, გოდერძი უშვერიძის გარდაცვალების შესახებ.

სამტრედიის, სოფელ ვანისუბანში დაიბადა ბატონი გოდერძი. საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი რომ დაამთავრა, ახალბედა ტელეჟურნალისტი, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის საკუთარ კორესპონდენტად დანიშნეს სამტრედიის რაიონში.

დროის სვლასთან ერთად იზრდებოდა ტელეჟურნალისტის ავტორიტეტიც. რეინიგზის ობიექტები, სამშენებლო და სამრეწველო ორგანიზაციები, მეურნეობები, მეცხოველეობის ფერმები, განათლების, კულტურის, ჯანდაცვის ობიექტები... სად არ შეხვდებოდა მას.

საქართველოს ტელევიზიით წარმოჩენა კი მაშინ ერთობ პრესტიჟული გახლდათ, გაჟღერებული კრიტიკა კი...

ბატონი გოდერძის უშუალო ძალისხმევითა და მონაწილეობით, 1977 წელს ქუთაისში საქართველოს ტელევიზიის რეგიონალური განყოფილება ჩამოყალიბდა, რომლის ხელმძღვანელადაც თავად დაინიშნა.

უფრო ვრცელი გახდა მისი მოღვაწეობის არეალი და პასუხისმგებლობაც ძირითად საქმიანობასთან ერთად იმატა.

უანგარო, უდალათო მეგობრად, კვალიფიციურ ჟურნალისტად, ჩინებულ ოჯახის ღირსეულ თავკაცად სცნობდნენ ბატონ გოდერძის, ასეთად დარჩა იგი ჩვენს მეხსიერებაში.


ნათელა იყო!

ლევან ბაბუნაძე

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს რეინიგზის დამსახურებული მუშაკი, საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ყრილობების დელეგატი, ბატონი

ლევან კლიაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



ფოლკ-ჯგუფი "ლადი" და "სამტრედიის მაცნე" თანაუგრძნობს ირაკლი მარჯანიშვილს

ბაბიოს

გარდაცვალების გამო.

ლევან ბაბუნაძე

მისი ჩონგუხი ისევ ჯადოსნუხად მხავცხმიანობს

განთავსი ნაცვლოვანი

მიმდინარე წელი იუნესკომ აკაის წლად გამოაცხადა. საქართველოს მგოსნის, რომელმაც სიმები აუწყო ჯადოსნურ ჩონგურს და მარად უკვდავი ეროვნული პანგები გამოაცემინა, დაბადებიდან 175, გარდაცვალებიდან კი, 100 წელი შეუსრულდა. ვა-

ლი გზა, ისაუბრეს მისი ოჯახის შესახებ, წარმოთქვეს მისი პოეტური შედეგები. განსაკუთრებით საინტერესო კი იყო სცენა "გამზრდელიდან".

სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის წევრებმა ლიკა პატარიძემ და ნინო ტაბლაძემ კათედრის ხელმძღვანელ ნატალია ფახურიძე-ჩიქოვანთან ერთად მოამზადეს აღნიშნული ღო-



მბობთ აკაის და ვგულისხმობთ ამდერებულ, ფერ-უცვლელ, გაუხუნარ საქართველოს. წარმოთქვამთ აკაის და მისი პოეტური შედეგები თანმიმდევრულად გაიღვებენ ქართველი კაცის გულსა და გონებაში. ამ პოეტურ მარგალიტებზე აღვზარდეთ, გავისივრებინათ, შევიმეცნეთ თითოეული მათგანი და თუკი რაიმე გვემზარება განსაცდელის ფაშს, სწორედ პოეტის დიდებული ფრაზები: "ჩემი ხატია სამშობლო" ან "დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ..." სხვა რომ არაფერი შეექმნა საქართველოს დიდ მებრძოლს, მისი "გამზრდელი" იმარებდა,

ნისიძება. პროექტის სახელწოდებაა "ჩემი ხატია სამშობლო". პროექტზე ასევე იმუშავეს სკოლის მუსიკის პედაგოგმა მერი ტკვაციანი და საინფორმაციო მეცნიერმა, მაკა კეკელიძემ. უნდა აღინიშნოს, რომ ნიჭიერებასთან ერთად ამ სკოლის მოსწავლეები განსაკუთრებული მუსიკალურობითაც გამოირჩევიან. აქვე, საგანში აუღერდა პოეტის ტექსტებზე შექმნილი "სულიყო", "ჩონგური საქართველო" და ეროვნული ჰიმნი, რომლის პირველ სტროფებზე სწორედ აკაის გაუხუნარი სიტყვებია. პროექტში მონაწილეობა მიიღეს მე-7, მე-9, მე-10



ადამიანურ ღირებულებათა უკვდავი ძეგლი და ჰიმნი, საუკუნეებს რომ გაუძღვება და ყველა ეპოქის ღირსების კოდექსად გამოდგება.

სცენა "გამზრდელიდან" ერთ-ერთი იყო მელაურის საჯარო სკოლაში დადგინდა, რომელიც სკოლის ფილოლოგთა ჯგუფმა აკაის საიუბილეოდ მოამზადა. შეგნებულად გამოვიდნენ მოსწავლეები სასკოლო სივრციდან და სათქმელი იქ თქვეს, სადაც 2 საუკუნის წინ ბუმბერაზი პოეტის ნატურფალები აჩნდა მიწას. გარემო ახლაც აკაის სიყვარულითა და მუხტული. ჯერ სოფელ საგანის ვსტუმრობთ, აკაისდროინდელია იქ ყველა ნივთი, ჯადოსნურ ელფერს ატარებს თითოეული მათგანი. აქ, ამ სკამ-ლოგინზე გლეხის მთელი ოჯახი რომ იძინებდა, ახლა პაკე-უსუბად და საფარ-ბეგად გარდასახული მოსწავლეები სხედან და "აღმზრდელის" წინაშე აღზრდილი თავის სინდისს ამხეურებს. ისევ სიყვარულით სტუმრობენ თაობები კერას, სადაც აკაის თავისი ძიძა, გლეხის ქალი მანო საღუნისილი სადღის უმზადებდა. ეს სიტყველ უკვე ჩვენი საიამყა და ამ მიწურ ქოხს უდიდესი ემოციებით დატვირთული ვტოვებთ.

შესანიშნავად გააცოცხლეს მოსწავლეებმა აკაის ბიოგრაფია, გაიხსენეს მგოსნის ცხოვრებისეუ-

და მე-11 კლასების მოსწავლეებმა.

შემოდგომის ამ ლამაზ დღეს მზე სხვაგვარი ძალმოსილებით აცხუნებდა. ეზოში, სადაც მოსწავლეთა მხატვრული კომპოზიცია იქნა წარმოდგენილი, უამრავ ადამიანს მოუწია ჩავლა. სტუმრები გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულის წინა დღეს წმინდა გიორგის ახლომდებარე ტაძრისკენ მიემართებოდნენ, გზად მომავალნი კი საინტერესო ლიტერატურულ-მხატვრული წარმოდგენის "ტყვეობაშიც" აღმოჩნდნენ.

მოსწავლეების და პედაგოგების მომდევნო გაჩენება კი ლამის ორი საუკუნის ისტორიის მქონე სხვატორის სახლია, ბერძენი მშენებლების მიერ აშენებული როსტომ წერეთლის ოსართულიანი სასახლე, რომლის შესახებაც არაერთ ცნობას გვაწვდის აკაი თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებებში "ჩემი თავგადასავალი". აქ ერთ-ერთი უნიკალური ნივთი აკაის აკვანია, მწერალს თანასოფლელებმა შემოქმედებითი მღვანელების 50-წლის იუბილეზე, რომ მიათრევს. ამ სახლის აივნისთან იხედები იშლება, მწელია იფიქრო, ჯადოსნური სიტყვები "ჩემი ხატია სამშობლო" მწერალმა სხვა გარემოში წარმოთქვა... უკვე ხმებიან ამ ეზოს კაკლები, მაგრამ უჭკნობი და უკვდავია სიტყვა აკა-



ორდენები, ჩინ-მედლები მოაგროვებ წონით - ტონა, გაფრენილა წლები, მაგრამ პირველობას არ თმობს ნონა. როგორც გენი თაობისა, მიეცემა მამისგან შვილს, ისე - ჯილდო არ მოაკლდეს მოჭადრაკე გაფრინდაშვილს!

ვულოცავთ!

შპს "ლელას" დირექტორს, ბატონ ავთანდილ დალანიძეს და მის შრომით კოლექტივს, რგორც 100 საწარმოს შორის ერთ-ერთ საუკეთესოს, გულითადად ვულოცავთ "ეკონომიკის ვარსკვლავის" ორდენით დაჯილდოებას.

უახლოესი მემორაბის სახელით: **მედიკალი კავშირები**

გიორგი ლეშავას!

ვილოცავთ დაბადების დღეს, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მედიკალი კავშირები

გიორგი ლეშავას!

პატივისცემით ვულოცავთ დაბადების დღეს ადამიანს, რომელიც თავის სათქმელს დირსეულად ამბობს სამტრედიის ყოველდღიურობაში. დაუულოცავთ ოჯახს და ვუსურვებთ ბედნიერი დღეები დაუბედოს.

სამხრეთის მაგნი

კი. მასინძელი ექსკურსიამდლო სამწუხარო ნოტაზე ამთავრებს თბრობას: სხვატორელი თავადი წერეთლები უმეკვიდროდ გადაშენდნენ, ესეც ბუნების კანონზომიერებაა, ბუნება გენიოსებზე ისევე ნებს!..

მოსწავლეთა შთამბეჭდავი და საინტერესო გაკეთილი-ექსკურსიის ბოლო გაჩერება კაცის ულამაზესი სვეტი იყო. აქ მდებარე ეკლესიაში პედა-

გოგებმა და ბავშვებმა სანთლები დაანთეს და ლოცვა აღავლინეს. "განსაკუთრებული დატვირთვა აქვეს აკაის სახლ-მუხეუმში ღონისძიების ჩატარებას, მოსწავლეები აკაის შემოქმედებას და პატრიოტულ სულს ამ გარემოში უფრო ჩასწვდებიან, ჩვენი მისიაც ეს არის, მათში ეროვნული ფასეულობების გაძლიერება". - გვითხრა სკოლის დირექტორმა ნინო ნიკოლეიშვილმა.



რედაქციის მისამართი: **სამხრეთი, რისაუბლიძის ქ. №6**

ტელ: 790 391839

მაგნი

დირექტორი **ბეჟან გოგია**

მთავარი რედაქტორი **ქეთევან ჭაჭავაძე**

გამომშვები რედაქტორი **თამაზ ბაბუნაშვილი**

პასუხისმგებელი მდივანი **ლევან ბაბუნაშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **მამა პაპავა**